საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 ნოემბერი, 2014 წელი.

№240 (7620)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გია ვოლსკი: სასწორზე დგას საქართველო, მისი ხვალინდელი დღე

6

აშშ, ნატო და ევროკავშირი რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების კანონიერებას არ აღიარებენ

8

ვახტანგ ძაბირაძე: თუ აფხაზეთში რაიმე მოძრაობა დაიწყება რუსეთის წინააღმდეგ, ისინი მუჰაჯირების ბედს გაიზიარებენ!

5

„ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივა ისეთივე დარჩა, რაც აქამდე იყო“

3

— მოსკოვმა კარგა ხნის წინათ განსაზღვრა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. შესაბამისად, წარმოუდგენელიცაა, რომ აფხაზეთთან ხელმოსაწერ შეთანხმებაზე მოსკოვს თბილისთან კონსულტაციები გაემართა. ამგვარი რამ კრემლის ლოგიკას ეწინააღმდეგება. *ფიოდორ ლუკიანოვი*

11 გამარჯვებულებს არ ასამართლებენ!

◎ გაბრაზებული ხალხის დიალოგი

მეოცნებენო, ნუთუ უკვე გაბრაზებული ხალხის ხმა არ გესმით?!

— ნაციონალებისა და „რუსთავი-2“-ის აღვირახსნილი აგიტატორ-პროპაგანდისტისა და მქუხარედ ხმიერი რუპორის გიორგი გაბუნიას ყოველი სამშაბათის „არჩევანი“ საზოგადოებრივად ზუსტად იგივეა, რაც ფოტოგრაფიაში ფირის გამამჟღავნებელი... ყველა უკლებლივ ეგრევე თავის უტყუარ სახეს აჩენს.

— სააკაშვილს თითქოს „მოხარშულს“ ვიცნობდით, მაგრამ ამ ბოლო სამშაბათის „არჩევანში“ მან კიდევ რამდენიმე მკვეთრი შტრიხი დაუმატა თავის პოლიტიკურად უნამუსობის ლაფით გათხუპნილ პორტრეტს.

— ამქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს, მაგის უტიფრობისა და უსირცხვილობის გარდა.

— იმის მაგივრად, რომ ცოტა სინანული მაინც დაეტყოს ხმაში და ხალხს მოუბოდიშოსავით, პირიქით, აქეთ გვდებს ბრალს და გვემუქრება კიდეც.

— პირდაპირ საკვირველია, ძებნილი და ბრალდებული, ქონებადაყადაღებული ექს-პრეზიდენტი, რომელიც, თუ არა ამჟამინდელი ხელისუფლების მართლაც უხერხემლობა, აქამდეც უნდა წარმდგარიყო მართლმსაჯულების წინაშე, წამდაუწუმ აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლებო განცხადებებით გვიჭედავს ყურებს.

— არა, მაინც როდემდე უნდა აჯირითოს „რუსთავი-2“-მა თავის ვაიდემოკრატიულ ეკრანზე ეს ბოროტმოქმედი, რომელსაც სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად ასობით ახალგაზრდის სიცოცხლის მოსწრაფება ედება ბრალად.

— შენ მარტო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ორასზე მეტი ახალგაზრდა ჯარისკაცი და 152 დაკარგული სოფელი თქვი.

— თუ არა პირადად მაგის მიერ წამოწყებული გაუაზრებელი თავდასხმა 8 აგვისტოს ცხინვალზე, რუსეთს იქნებ ვერც გაებედა 9 აგვისტოს აგრესიის განხორციელება.

— მაგას ჰგონია, ხალხს მახსოვრობა არა გვაქვს, ყველას დაგვავიწყდა მაგის 2006 და 2007 წლების აღვირახსნილი საომარი რიტორიკა.

— მაგას და მაგის მაცდურ ფეხის ხმას მონურად აყოლილთ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინოთ, რომ ომი საქართველომ კი არა, ჩვენ კი არა, ქართველმა ხალხმა, არამედ მაგან, მიშიკომ დაიწყო თავის კეზერაშვილებთან, ბოკერიებთან, მერაბიშვილებთან, თარგამაძეებთან, უგულავეებთან, ბარამიძეებთან, ნადირაშვილებთან, წიკლაურებთან, ბობოხიძეებთან, გოგორიშვილებთან, ლომაიებთან, ცისკარიშვილებთან, დარჩიაშვილებთან, წერეთლებთან თუ გაბაშვილებთან ერთად.

— გაოცებული ვარ, ამ ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების პირწავარდნილი დონდლოობით, იქნებ დოყლაპიობითაც. შე დალოცვილო, რომელი ქვეყანა და რომელი ხელისუფლება დაუშვებს, რომ ასე აშკარად უტევდნენ და უთხრიდნენ ძირს?! ეს რა ვითომ ის დემოკრატიულობაა, რომლითაც

ევროპის გაკვირვებას ვაპირებთ?!

— ნუთუ არ შეიძლება, ვითარებიდან გამომდინარე, საგანგებო კანონის მიღება, რომლის ძალითაც აგრერიგად გალაღებულ დამნაშავე ექს-პრეზიდენტს განსასჯელის სკამზე დავსვამდით თავის ენად გაკრეფილ ასევე დამნაშავე ხროვასთან ერთად და იმ სასამართლო პროცესიდან, სწორედაც ცხრაწლიანი ჯოჯოხეთგამოვლილი ხალხის ჯავრის ამომყრელი სასამართლო პროცესიდან, პირდაპირ რეპორტაჟს უშუალოდ კაცთმოძულე სააკაშვილის მიერ ხელდასხმულ, როგორც იტყვიან, ცხრა მთავრობის გოთვერან ნიკა გვარამიას გადმოვაცემინებდით უშუალოდ ნაციონალების ღვიძლ „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან.

— არადა, როგორ დავიჯეროთ, ხელისუფალო „მეოცნებენო“, რომ აინუნშიც არ აგდებთ თავზე ხელაღებულ ნაციონალთაგან და პირადად ბრალეული სააკაშვილისგან ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის ასე დაუფარავ შეტევას, რომელსაც ახალ არჩევნებამდე დარჩენილ ორ წელიწადში ნამდვილად კარგი არაფერი არ მოჰყვება, თუ თქვენ კვლავ აგრერიგად მართლაც უგერგილოდ მოიქცევით და ეგრეთ წოდებულ ოპოზიციად წოდებულ ცხადად მტრულ ძალას თქვენს სახელისუფლებო ძალას არ დაუპირისპირებთ კანონის მთელი სიმკაცრით!

— მართალი გითხრათ, მთელი ხალხი გაოცებულია, რას უყურებთ და რაღას ელოდებით, რომ იცოდეთ, დრომ უკვე თქვენს წინააღმდეგ დაიწყო მუშაობა.

— ხალხს ოცნებასთან ერთად იმედსაც ნუ გაგვიცრუებთ!..

— ნუთუ ისე ჩაფუფუნდით და ისე ღრმად ჩაგეძინათ, რომ ჯერ კიდევ თქვენი მომხრე გაბრაზებული ხალხის ხმა აღარ გესმით?!.

ჩაიწერა

გურამ წიკლაურმა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ე.წ. ხელშეკრულებით თავად აფხაზები არიან აღშფოთებულები

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ლატვიელ კოლეგასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, აფხაზები და ოსები თავის მომავალს მხოლოდ საქართველოში უნდა ხედავდნენ.

„მე მინდა ძალიან მარტივი მაგალითი გითხრათ იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება აფხაზეთში, აფხაზეთში, რომელიც არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ამ შეთანხმებით არავინ არ არის კმაყოფილი. ბუნებრივია, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამ ხელშეკრულებით არ ვართ კმაყოფილნი, მაგრამ თვითონ აფხაზებიც არიან აღშფოთებული ამ შეთანხმების გამო. ამ კონფლიქტების შეჯამება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, აფხაზებს, ოსებს, ყველას შეგვიძლია ერთად ცხოვრება და ეს ჯგუფები თავის მომავალს მხოლოდ საქართველოში უნდა ხედავდნენ, მათ ექნებათ ევროპული მომავალი“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთმა და აფხაზეთმა მოაწერეს ხელი, უკან გადადგმული ნაბიჯია

ამის შესახებ ლატვიის პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან მადლობა გადაუხადა გიორგი მარგველაშვილს საქართველოში მოწვევისთვის და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთანამშრომლობა გაიზრდება.

„ჩვენ ერთობლივად, ნებისმიერი კონფლიქტი უნდა გადავწყვიტოთ სამშვიდობო გზებით. ლატვია მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ის ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთმა და აფხაზეთის რეგიონმა ხელი მოაწერეს, უკან გადადგმული ნაბიჯია, რაც ართულებს კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას და ეჭვის ქვეშ აყენებს რეგიონში სტაბილურობას. მე ვფიქრობ, რომ მხარეებმა თავი უნდა აარიდონ ნებისმიერ დესტრუქციულ საქმიანობას“, — განაცხადა ლატვიის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, გიორგი მარგველაშვილთან პროდუქტიული შეხვედრა ჰქონდა.

„ჩვენ გვქონდა ძალზედ ინტენსიური და პროდუქტიული შეხვედრა, ეს დასტურია ორმხრივი ინტერესებისა, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. გვექნება შეხვედრები სხვადასხვა სამინისტროებთან, სხვადასხვა წარმომადგენლებთან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რამდენად სერიოზულია სურვილი გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოსთან. ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთი ამოცანა არის ის, რომ გავაღრმავოთ ეკონომიკური ურთიერთობა, ეს იქნება უარღესად მნიშვნელოვანი შემოტრიალების წერტილი ჩვენი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით“, — განაცხადა ანდრის ბერზინშმა.

ძირს უთხრის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულების“ ხელმოწერის საკითხს განცხადებით გამოეხმაურა.

„პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, 2014 წლის 24 ნოემბერს სოჭში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას მიერ ხელმოწერილ მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებას არაკანონიერად მიიჩნევს.

ხელშეკრულება ძირს უთხრის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და 2008 წლის 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმებით მხარეების მიერ აღებულ ვალდებულებებს. იგი, ასევე, ზიანს აყენებს ჟენევის მოლაპარაკებებსა და ქართულ-რუსულ დიალოგს აბაშიძე-კარასინის ფორმატში.

მოვუწოდებთ ჟენევის პროცესის გაგრძელებისკენ, საქართველოს დევნილი მოქალაქეების აფხაზეთში დაბრუნებისკენ, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული სხვა საზღვრების დაურღვევლობისკენ. პოლონეთი აფზახეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების გაფორმება ნატოსთან ჩვენმა კეკლუცობამ გამოიწვია

ამის შესახებ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

მან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის რამდენიმე დღის წინათ უკრაინის ნატოში გაწევრების შესახებ გაკეთებული განცხადება გაიხსენა და აღნიშნა, რომ ამ განცხადებაში საქართველოც იგულისხმება. „გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ნატოში უკრაინის გაწევრიანება აბსოლუტურად გამორიცხულია და ამაზე საუბარიც არ შეიძლება იყოსო. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინაზე ლაპარაკობენ და საქართველოსაც გულისხმობენ. ამას კიდევ უფრო მძიმე ფრაზა დააყოლა უკრაინისთვის, რომ უახლოეს პერსპექტივაში, უკრაინის არც ევროკავშირში გაწევრიანება არ განიხილებაო“, — განაცხადა ბურჯანაძემ

მისივე თქმით, ყველა იმ მოკეკლუცო განცხადებებმა, რომელსაც ახლა უკვე ოპოზიციაში გადასული „თავისუფალი დემოკრატები“ და დღეს ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით აკეთებენ, რუსეთს აფხაზეთთან ხელშეკრულების ხელმოწერა კიდევ უფრო დააჩქარებინა. „საქართველოში ნატოს ბაზის განლაგებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები დამატებითი ბიძგები იყო, რომელმაც რუსეთს ამ ხელშეკრულების ხელმოწერა კიდევ უფრო დააჩქარებინა“, — განაცხადა ბურჯანაძემ და დაამატა, ამ ხელისუფლების დამსახურებაა, დღეს რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე რომ გვიწევს საუბარი, რადგანაც საკაშვილი რომ გასამართლებულიყო, სისტემა და რეალობა რომ შეცვლილიყო, ნამდვილად სხვა ვითარება იქნებოდა როგორც აფხაზეთთან, ასევე სამაჩაბლოსთან მიმართებაში.

ლატვიის რესპუბლიკისგან ძალიან ძლიერი მხარდაჭერა გვაქვს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ლატვიის პრეზიდენტისა და დელეგაციის ვიზიტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ლატვია არის საქართველოს მეგობარი. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმის გახსნაზე განაცხადა, რომელსაც ლატვიის პრეზიდენტიც ესწრებოდა.

ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ფორუმი როგორც ლატვიელი, ასევე ქართველი ბიზნესმენებისთვის ნაყოფიერი იქნება.

„ჩვენი გადაწყვეტილება, რომ დავუახლოვდეთ ევროატლანტიკურ სივრცეს, არის ურყევი. ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი და ამ პროცესში ჩვენ გვაქვს ძალიან მტკიცე მხარდაჭერა ლატვიის მხრიდან“, — განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველოსა და ლატვიას აერთიანებს საერთო კულტურა, ისტორია და ღირებულებები.

წლის ბოლოსთვის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სატესტო მატარებლის გაშვება იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელიც ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს, დამაკავშირებელი რგოლია დასავლეთ ევროპას, ცენტრალურ აზიას, ჩინეთსა და ინდოეთს შორის. ამის შესახებ პრემიერმა საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმზე განაცხადა.

ამ მიმართულებით პრემიერმა ხაზი გავუსვა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საქმეში.

„ეს რკინიგზა პირდაპირ დაკავშირებს საქართველოსა და თურქეთს, ხოლო მარმარას გვირაბის მეშვეობით შეიქმნება პირდაპირი კავშირი ევროპიდან და აღმოსავლეთიდან თურქეთის გავლით საქართველოსა და სხვა რეგიონალურ ქვეყნებთან“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, 2014 წლის ბოლოსთვის იგეგმება სატესტო მატარებლის გაშვება, ხოლო პროექტი დასრულდება 2015 წლისთვის. შესაბამისად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გამოყენებით ტვირთების გადაადგილების პერიოდი 2-ჯერ შემცირდება.

„საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის შემდგომი განვითარების მიზნით, ვგეგმავთ ორ წელიწადში ახალი ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის მშენებლობას. პორტი იქნება მულტიფუნქციური და შეესაძლებლობა ექნება მიიღოს მსხვილი ტიპის სატვირთო გემები. პროექტში მონაწილეობის სურვილი 12-მა კონსორციუმმა უკვე გამოხატა. პორტის გამტარუნარიანობა იქნება წელიწადში 100 მილიონი ტონა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს გავლით, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ ბაზრებს შორის სატვირთო გადაზიდვები უფრო სწრაფად და ნაკლები ხარჯებით იქნება შესაძლებელი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

◎ ინფორმაცია

აფხაზეთის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევას გეგმავენ

აფხაზეთის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევის მოთხოვნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმაც დაადასტურა.

ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ აშშ-ის ელჩთან რიჩარდ ნორლანდთან გაცნობითი შეხვედრის შემდეგ განაცხადა. დავით ბაქრაძის თქმით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ე.წ. მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემაც იყო.

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, შესაბამისად, მათი მხარდაჭერის მოსმენა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს შეეხება არა მარტო ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს, მათ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და არაღიარებას იმ დოკუმენტისა, რომელსაც საერთაშორისო სამართლებრივად არანაირი ძალა არ გააჩნია, არამედ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ამერიკის ხმა კვლავ მკაფიოდ და ხმამაღლა გაისმას სწორედ ამ მიმართულებით. ეს შეეხება როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს, ასევე ეუთოს მინისტერიალს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტს და ა.შ.“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მოსკოვსა და სოხუმს შორის „სტრატეგიული მოკავშირეობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის მიზნებსა და მიზეზებზე, ასევე უკრაინაში განვითარებული მოვლენების, რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული შეთანხმების ფონზე რუსულ-ქართული ურთიერთობების სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ კრემლთან დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაცია „საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის“ საბჭოს თავმჯდომარეს, ჟურნალ „რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“ მთავარ რედაქტორს **ფიოდორ ლუკიანოვს** ესაუბრა.

„ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივა ისეთივე დარჩა, რაც აქამდე იყო“

– ბატონო ფიოდორ, შეთანხმებას, რომლის ხელმოწერის შესახებ კარგა ხანი მსჯელობდნენ მოსკოვსა და სოხუმში, ხელი უკვე მოეწერა. რუსული და აფხაზური მხარეები მას კი უწოდებენ შეთანხმებას „სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისმა ერთმნიშვნელოვნად რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის დასაწყისად შეაფასა. სხვათა შორის, დოკუმენტი ასევე დაგმო საერთაშორისო თანამეგობრობამ. თქვენ როგორ შეაფასებდით მას?

– არ მესმის, რაში მდგომარეობს ანექსია? პირიქით, შეთანხმება ხაზს უსვამს და აფიქსირებს, რომ ხელმოწერილი დოკუმენტი სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტია. პრაქტიკულად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით არაფერი არ იცვლება. ის, რომ აფხაზეთი რუსეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და საკმაოდ სერიოზულადაა დამოკიდებული რუსეთის მხარდაჭერაზე, ეს არავისთვის, მათ შოროს საქართველოსთვის საიდუმლოს არა წარმოადგენდა.

ფორმატებს შესაძლოა, სხვადასხვა სახელები ეწოდოს. „ცივი ომის“ შემდეგ სტრატეგიული პარტნიორობის ცნებამ სერიოზული დევალვაცია განიცადა. ყველაფერს ერქმეოდა სტრატეგიული პარტნიორობა. რუსეთი ფორმალურად დღემდე ითვლება ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ პრაქტიკაში ეს დღეს როგორადაცაა, ყველამ იცის. ამიტომ მე, რა თქმა უნდა, ფორმულირებებს ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ კარგად მესმის, რომ ეს გარკვეული პირობითობაა. ფაქტობრივად, ხელმოწერილი შეთანხმებით, მხარეებმა დაადასტურეს ის მჭიდრო ურთიერთობები, რომელიც მათ აქვთ. ეს ურთიერთობები უალტერნატივო იყო და არის როგორც რუსეთისთვის, ისე აფხაზეთისთვის. რუსეთი აფხაზეთის სუვერენიტეტს ისედაც აღიარებდა, მაგრამ ამ შეთანხმებით მოსკოვმა ირიბად კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთის სუვერენიტეტის ცნობა და აღიარება. ვიმეორებ, შეთანხმება სახელმწიფოთაშორისია, ასე რომ, სად არის აქ ანექსია, პირადად მე, ნამდვილად ვერ ვხედავ.

– ამ შეთანხმებაზე საუბრისას საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ძალის მქონე დოკუმენტად, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შემდეგ ჩატარებული არც ერთი არჩევნები ლეგიტიმურად არ უღიარებია. სხვათა შორის, აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდა რუსეთმაც ორჯერ აღიარა, დაუჭირა რა მხარი აფხაზეთის საკითხზე ეუთოს ბუდაპეშტისა (1996) და ლისაბონის (1999) რეზოლუციებს. ახლა კი რა გამოდის – რუსეთი ახალისებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ეთნიკურ წმენდას, თუ ეს მის გეოპოლიტიკურ ინტერესებშია? ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია კრემლისთვის მისაღები, თუ საკითხი საქართველოსა და ქართველებს ეხებათ?

– არა, რუსეთი ეთნიკურ წმენდას არ ახალისებს. როგორც ცნობილია, რუსეთი აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს. ეს მან 2008 წელს გააკეთა და მას შემდეგ ამ საკითხში პოზიცია არ შეუცვლია. ყველაფერი დანარჩენი, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციისა, რომელიც თავის უმრავლესობაში არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, რუსეთისათვის მნიშვნელობა არ აქვს. რუსეთი აფხაზეთში ჩატარებულ ყველა არჩევნებს აღიარებს. მეტიც, სხვადასხვა დროს აფხაზეთთან გაფორმებული აქვს სხვადასხვა შეთანხმებები. რუსეთისთვის აფხაზეთთან მიმართებაში საბაზისო პოზიცია 2008 წელს განისაზღვრა. ვგულისხმობ სწორედაც რომ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. კარგად გვესმის, რომ მოსკოვის ეს პოზიცია დასავლეთის პოზიციას არ ემთხვევა, მაგრამ აფხაზეთის პრეცედენტი მსოფლიოში ერთადერთი ნამდვილად არ გახლავთ.

– ალბათ, გაქვთ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელმოწერა არაერთგვაროვნად ფასდება აფხაზეთში. ისიც გეცოდინებათ, რომ რეალურად დღევანდელ აფხაზეთში ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება მხარდამჭერთა რაოდენობას. მეტიც, აფხაზური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთმა დაკარგა სუვერენიტეტი და რუსეთმა აფხაზეთის ანექსიის პროცესი დაიწყო. მოსკოვი ამ რეალობას არ იმჩნევს, რატომ? და კიდევ, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ აღნიშნული ხელშეკრულება გახლდათ პრეზიდენტ ანქვაბის სასწრაფო წესით გადაყენების მიზეზი? რა უნდა ვიფიქროთ – ანქვაბი რა, რუსეთთან ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების წინააღმდეგი იყო?

– დიახ, საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ხელმოწერილ შეთანხმებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო და ახლაც არის. ამ თემაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა დისკუსია. აფხაზეთში არიან ამ შეთანხმების როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეები. მთავარია, ჩვენ დავინახოთ, თუ რაშია განსხვავება მათ შორის, ვინც დოკუმენტს მხარს უჭერს და ვინც ეწინააღმდეგება. რამდენადაც ვიცი, აფხაზეთში რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების წინააღმდეგი არავინაა. თუ ვინმეა, მათი რაოდენობა მცირეა. თუ როგორ იყო შესაძლებელი რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების იურიდიულად გაფორმება, ამაზე კამათი შესაძლებელია და ამგვარი რამ აფხაზეთში იყო კიდეც.

რაც შეეხება ანქვაბს. აფხაზეთში ბობოქარი პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობს. ჩემი დაკვირვებით, იგი იმაზე მეტად ბობოქარია, ვიდრე ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება მოსკოვში იმდაგვარი იყოს. ანქვაბის გადადგომა მის წინააღმდეგ ინტენსიურ მოქმედებებსა და შიდა უკმაყოფილებას უკავშირდებოდა. საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს არ მოსწონდა მისი მართვის სტილი და მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი გადადგომა.

ანქვაბის გადადგომაში რუსეთთან ინტეგრაციული პროცესების დაწყების თემას გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაცია და არა ანექსია, როგორც ამას საქართველოში ამბობენ, აფხაზეთისთვის გახლავთ არა დამოუკიდებლობისაგან უკან ნაბიჯის გადადგმა, არამედ პირიქით, სწორედაც რომ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა. თუ აფხაზეთი შეძლებს ევრაზიული კავშირის ფარგლებში რუსეთი პარტნიორების დარწმუნებას იმაში, რომ მას ამ კავშირში გაწევრება სურს, ეს იქნებოდა აფხაზეთის სტატუსის სერიოზული გაზრდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ჯერ არ ხდება.

რაც შეეხება შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ამ თემაზე ბობოქარი დისკუსია იყო, სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას ხელისუფლების გარდა, ოპოზიციამაც დაუჭირა მხარი.

– თქვენი აზრით, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით რისი თქმა უნდოდა მოსკოვს თბილისისათვის? ანუ სოხუმთან შეთანხმების ხელმოწერა რისი დემონსტრირება გახლდათ თბილისისათვის? თქვენი ინფორმაციით, ამ შეთანხმებაზე მუშაობისას მოსკოვს ჰქონდა თუ არა გარკვეული კონსულტაციები თბილისთან? და თუ კი, სავარაუდოდ, რა თემებზე?

– მოსკოვმა კარგა ხნის წინათ განსაზღვრა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. შესაბამისად, წარმოუდგენელიცაა, რომ აფხაზეთთან ხელმოსაწერ შეთანხმებაზე მოსკოვს თბილისთან კონსულტაციები გაემართა. ამგვარი რამ კრემლის ლოგიკას ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება იმას, თუ რისი თქმა უნდოდა მოსკოვს თბილისისთვის? და არც არაფრის თქმა არ უნდოდა. მოსკოვს აფხაზეთთან ურთიერთობების თავისი დინამიკა აქვს. არ ვიტყვი, რომ ისინი არც თუ ულრუბლოა. აფხაზური საზოგადოება და ხელისუფლება რუსეთისთვის საკმაოდ რთული პარტნიორები არიან და ამას მოსკოვშიც აღიარებენ. რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობები თავისებურ ალგორითმში იგება და ამასთან თბილისს ახლა არანაირი კავშირი არა აქვს.

– უცნაური გახლავთ ის, რომ როგორც წესი, ამ ტიპის შეთანხმებები ხელმოწერისთანავე ქვეყნდება. ამჯერად ასე არ მომხდარა, თქვენი აზრით, რატომ? ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მასში რეალურად არსებობს საიდუმლო მუხლები? ან პუტინი და ხაჯიმბა ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ რაღაცებზე, რაც ჯერ უცნობია...

– გითხრათ სიმართლე, ზუსტად არ ვიცი, როგორია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების გამოქვეყნების პროცედურა. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ამაზე მეტად მნიშვნელოვანი დღის წესრიგი აქვს, აფხაზეთთან შეთანხმება მაინც გაფორმდა, არ გამოვრიცხავ, რომ სხვა მოვლენებმა ერთგვარად გადაფარეს კიდეც ეს თემა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეთანხმებაში საიდუმლო მუხლების არსებობა გამორიცხულია, ვინაიდან ისედაც ყველაფერი ცხადია.

– შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ხაჯიმბასთან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას დიდი ადგილი დაეთმო სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენის საკითხებს. კერძოდ, აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. ცნობილია, რომ აფხაზური ხელისუფლება და საზოგადოება რკინიგზის გახნას ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან აფხაზეთში არსებობდა ეჭვი, რომ რკინიგზის გახსნას მოჰყვებოდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველების უკონტროლო დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ქართველი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მოსკოვმა სოხუმი რკინიგზის აღდგენაზე იმ პირობით დაითანხმა, რომ ქართველი დევნილები გალის რაიონის გარდა, აფხაზეთის არც ერთ რეგიონში არ დაბრუნდებოდნენ. რამდენად საფუძვლიანი შეიძლება იყოს ამგვარი ზეპირი შეთანხმება პუტინსა და ხაჯიმბას შორის?

– გითხრათ სიმართლე, ამ თემაში ღრმად ჩახედული არა ვარ და სპეკულირება კი ნამდვილად არ მინდა.

– სხვათა შორის, ექსპერტთა ნაწილი არც იმას გამორიცხავს, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენით, რუსეთი საქართველოსთან ომისთვის ემზადება. ალბათ გახსოვთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის წინ, რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზის მონაკვეთი ქალაქ ოჩამჩირემდე შეაკეთა...

– არ მესმის, რაში უნდა სჭირდებოდეს რუსეთს ომი საქართველოსთან? რა მიზანი უნდა ჰქონდეს ომის დასაწყებად? 2008 წელს ვითარება სულ სხვაგვარი იყო. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სულ სხვა სტატუსი ჰქონდათ. რბილად რომ ვთქვათ, თბილისის პოლიტიკა რუსეთის მიმართ სულ სხვაგვარი იყო. საქართველოს ხელისუფლება მილიტარისტული რიტორიკის გარდა, მილიტარისტულ პოლიტიკას ატარებდა. ახლა ამის მსგავსი არაფერი ხდება. მადლობა ღმერთს, საქართველოს მთავრობა ომისთვის არ ემზადება. გარდა ამისა, არც რუსეთი ხედავს საომარი მოქმედებების დაწყების აუცილებლობას. თუ საქართველოში მიაჩნიათ, რომ რუსეთს საქართველოსთან ომის დაწყებისა და დაპყრობის იდეა-ფიქსი აქვს, მაშინ ამ ლოგიკით ყველაფრის დაშვება შეიძლება, რაც კი თავში შეიძლება მოგვივიდეს. ვინაიდან ასე არაა და რუსეთი საქართველოზე ახლა ნაკლებად ფიქრობს, რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ.

– გასაგებია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღნიშნული შეთანხმების დაგმობა კრემლს დიდად არც ადარდებს. მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალური თბილისი ამ თემის საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურებას გეგმავს. მეტიც, სავარაუდოდ, თბილისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების განხილვას უკრაინის კონტექტში მოითხოვს, ანუ საუბარია იმაზე, რომ რუსეთს ეკონომიკური სანქციები საქართველოს გამოც ჰქონდეს დაწესებული. ამგვარი პერსპექტივა კი რუსეთის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. მხედველობაში მაქვს ის, რომ შეიძლება საერთაშორისო თანამეგობრობამ ეკონომიკური სანქციების მოხსნის თემა 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას დაუკავშიროს...

– შეუძლებელია, ვინმემ აიძულოს რუსეთი ისეთი რამ გააკეთოს, რაც მას არ უნდა. უკრაინის თემატიკასთან საქართველოს საკითხების დაკავშირება თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ჩემი აზრით, ახლა დასავლეთს სულ სხვა დღის წესრიგი აქვს. ჩემი აზრით, არავის განსაკუთრებულ ინტერესში არ შედის 2008 წლის თემის დაბრუნება, რომელიც წინა ეპოქას უკავშირდება. მე ამის არ მჯერა, მაგრამ, თუ ეს მოხდა, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. თუ ითქვა, რომ რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციები მაშინ მოიხსნება, თუ რუსეთი უკრაინის დონბასიდან და ყირიმიდან ჯარების გაყვანის გარდა, ჯარებს ასევე გაიყვანს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, რუსეთი ამ პირობებს მაინც არ შეასრულებს. თუ მანამდე რუსეთი ეკონომიკური სანქციების მისთვის მოსახსნელად ორ პირობას არ ასრულებდა, ახლა მას სამი შეუსრულებლი პირობა ექნება. მაგრამ, ამით საქართველო ვერც ვერაფერს ვერ მოიგებს.

– არ ვიცი, მიიღებს თუ არა ხელისუფლება გადაწყვეტილებას კარასინი-აბაშიძის დიალოგის შეჩერების შესახებ, მაგრამ ამგვარი მოთხოვნები თბილისში სულ უფრო ხმამაღლა ისმის...

– გითხრათ სიმართლე, არ მესმის კარასინ-აბაშიძის დიალოგის გაუქმების აზრი. ვთქვათ, გააუქმეს და მერე რა?! ამ დიალოგის არსებობა რუსულ-ქართული ურთიერთობების ყველა პრობლემას ვერ უშველის, მაგრამ იგი სამუშაო კონტაქტის არსებობის კარგი საშუალებაა და მისი საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ვითარების გართულების შემთხვევაში. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ვითარების არანაირი გართულება არ იქნება. კი ბატონო, ამ დიალოგის გაუქმებაც შესაძლებელია, მაგრამ ამით რას მოიგებს ქართული მხარე, ნამდვილად არ მესმის? დიალოგის შეწყვეტის გამო რუსეთს გული კი დაწყდება, მაგრამ არა ძალიან.

– უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და აფხაზეთთან ხელმოწერილი შეთანხმების ფონზე, თქვენ როგორ გესახებათ რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივა?

– რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელმოწერილმა შეთანხმებამ ხმაური და თემის აქტუალიზაცია კი გამოიწვია, მაგრამ რეალურად, რუსულ-აფხაზური შეთანხმების ხელმოწერით რუსულ-ქართულ ურთიერთობაში არც არაფერი არ შეცვლილა. ისინი არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა. ფაქტობრივად, რუსულ-აფხაზურმა შეთანხმებამ ფორმალურად დაადასტურა ის, რაც მოსკოვსა და სოხუმს შორის აქამდეც იყო. ამიტომ, რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივა ისეთივე დარჩა, რაც აქამდე იყო.

არ მესმის, რაში უნდა სჭირდებოდეს რუსეთს ომი საქართველოსთან? რა მიზანი უნდა ჰქონდეს ომის დასაწყებად? 2008 წელს ვითარება სულ სხვაგვარი იყო. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სულ სხვა სტატუსი ჰქონდათ. რბილად რომ ვთქვათ, თბილისის პოლიტიკა რუსეთის მიმართ სულ სხვაგვარი იყო. საქართველოს ხელისუფლება მილიტარისტული რიტორიკის გარდა, მილიტარისტულ პოლიტიკას ატარებდა. ახლა ამის მსგავსი არაფერი ხდება. მადლობა ღმერთს, საქართველოს მთავრობა ომისთვის არ ემზადება.

კობა ბენდელიანი

◎ კი თუ არა?!

რუსეთი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ალაპარაკდა, თბილისი დუმს!..

„მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი სოხუმი-თბილისი-ერევნის მიმართულებით სარკნიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ალაპარაკდა. როგორც ვლადიმერ პუტინმა სოჭში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რუსეთსა და აფხაზეთს, საერთო შეთანხმების შემთხვევაში, შეუძლიათ სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლის ორგანიზება სოხუმი-თბილისი-ერევნის მიმართულებით.

„შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა პარტნიორებთან ერთად ვიფიქროთ და საერთო შეთანხმების შემთხვევაში, განვახროციელოთ ისეთი პროექტი, მაგალითად, როგორიც არის სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმი-თბილისი-ერევნის მიმართულებით“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის თქმით, თბილისი აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა. მისივე თქმით, საერთო შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლის ორგანიზება სოხუმი-თბილისი-ერევნის მიმართულებით. სურკოვი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ამ საკითხზე დაფიქრება და საერთო თანახმობის შემთხვევაში, განხორციელება.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილი ვლადიმერ პუტინის შეთავაზებაზე — საქართველოს გავლით, რუსეთ-სომხეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებისგან მკაფიო პასუხს ითხოვს.

„რას გულისხმობს ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილი, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ გადაწყვეტილებას? ორაზროვნების დრო ნამდვილად არ არის. რაც მალე ჩამოაყალიბებთ ღიად პოზიციას რკინიგზასთან დაკავშირებით, მით უკეთესი საქმისთვის! რას გულისხმობს ბატონი ზურაბ აბაშიძე, როდესაც ამბობს, რომ უნდა ვუპასუხოთ ისტერიის გარეშე, მაგრამ პრინციპულად?

გთხოვთ, დააკონკრეტეთ პოზიცია, ბატონო ზურაბ, რკინიგზასთან დაკავშირებით! და რაც მთავარია, მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გამოხატოს საკუთარი პოზიცია რკინიგზასთან დაკავშირებით! ცხადად და მკაფიოდ! ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“, ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც, პრინციპულად წინააღმდეგი ვიყავით და ახლაც წინააღმდეგი ვართ“, — აცხადებს ალექსი პეტრიაშვილი.

საქართველოს გავლით რუსეთ-სომხეთის რკინიგზის აღდგენაზე ვლადიმერ პუტინის შეთავაზებაზე, ოფიციალურ კომენტარს საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით არ აკეთებს. პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ საქართველოს მთავრობისთვის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე, არავის არ მიუმართავს და ამის შესახებ არანაირი საუბარი არ ყოფილა. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი, ნებისმიერი სატრანსპორტო თუ საკომუნიკაციო არხის აღდგენა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოხდება.

„ნებისმიერი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე არის ქვეყნის სუვერენული უფლება. ნებისმიერი სატრანსპორტო, თუ საკომუნიკაციო არხები განვითარდება მხოლოდ იმ ინტერესების გათვალისწინებით, რაც იქნება სახელმწიფოს ძირითადი ინტერესი. ქართული სახელმწიფოს ინტერესი კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა“, — აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

ქვეყნის პირველი დიპლომატი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს იგი ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებაში. საგარეო საქმეთა მინისტრის ამ ტიპის განცხადება გაუგებარია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის ასოციაციის“ თანადამფუძნებლისთვის. ელენე ხოშტარიას განმარტებით, იმ ფონზე, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი არ აკონკრეტებს რას გულისხმობს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო რამდენიმე სხვა მინისტრი ამას ნეგატიურად არ აფასებს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც მინიმუმ, მთავარობას არ აქვს მკაფიოდ ნეგატიური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

„მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი — საქართველოს“ დირექტორი ლევან გერაძე თვლის, რომ ქართული მხარე სარკინიგზო მიმოსვლას შესაძლებელია დათანხმდეს მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე იქნება მიღებული.

„ყველაფერი დამოკიდებულია არა მხოლოდ განცხადებაზე, არამედ რეალურ ვითარებაზე და შესაძლებლობებზე. მიმდინარეობს თუ არა ამ თემაზე ისეთი აქტიური მუშაობა, როგორც ამბობენ, ძნელია ამის თქმა. ამას წინათ, სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ამ თემაზე მიმდინარეობს კონსულტაციებიო. ახლა უკვე პუტინმაც იგივე თქვა.

როდესაც ქართული მხარე აქტიურად იყო ჩართული ამ თემის განხილვაში, მაშინ მხოლოდ ეს თემა არ განიხილებოდა. კონფლიქტის მსხვილმასშტაბიანი მოგვარების მთლიან კონტექსტში იყო განხილული ეს საკითხი. არ მგონია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის განვითარებისგან განცალკევებით რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს ამ საკითხის განხილვას. მაგრამ, თუ ასე მოხდა, ეს უკვე შემაშფოთებელი იქნება და ხელს შეუშლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ლევან გერაძემ.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ რუსეთს ადარდებს არა რაიმე კომუნიკაციის შექმნა აფხაზებსა და ქართველებს შორის, არამედ მისი მუდმივი სადარდებელი არის სომხეთში გიუმრის რუსული სამხედრო ბაზა, რომელიც გეოგრაფიულად, გერის როლში აღიქმება კრემლისთვის. პოლიტოლოგის განცხადებით, ამის პარალელურად, არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება იმ მზაკვრული ჩანაფიქრის მიმართ, რასაც ჰქვია საავტომობილო გზის მშენებლობა რუსეთიდან სომხეთისკენ საქართველოს ტერიტორიის გავლით და რომლის რუსული ნაწილის მშენებლობა უკვე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

რასაკვირველია, სრულიად მკაფიო წინაპირობები უნდა არსებობდეს ასეთი პროექტების, არათუ განხორციელების, არამედ ასეთ თემებზე საუბრის დაწყებისას. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთიდან წამოსული მატარებელი წამოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის გავლით. მაგრამ, ამ ტვირთვების გადაზიდვის თემა უნდა იყოს თბილისის და ერევნის თანამშრომლობის საგანი, — აცხადებს პოლიტოლოგი.

თამთა ძარჩავა

◎ შავი სია

ვალის აღება ძნელია, დაბრუნებაზე კი ლაპარაკიც არ არის!

კეთილსინდისიერ სახელმწიფო ჩინოსანთა შრომის ანაზღაურებაზე დანამატების ოდენობის განუხრელი ზრდის პარალელურად, ქვეყანაში ასევე განუხრელად იზრდება გადახდისუუნარო მოქალაქეთა რიცხოვნობაც, რომლებსაც კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თუ კერძო მევახშეთა ვალები აქვთ წამოკიდებული.

ბოლო მონაცემებით, მოვალეთა სიაში დღესდღეობით 132 ათასზე მეტი კაცი ირიცხება, რომელთა ოდენობა ბოლო ერთი წლის მანძილზე 34 ათასით გაიზარდა. თუ წლის მთლიან მონაცემებს, ასე ვთქვათ, „ეტაპობრივად“ დავყოფთ, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ყოველთვიურად ამ სავალალო ნუსხაში დაახლოებით 2800 პირი ხვდება, რომელსაც აღებულ სესხთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს შექმნილი. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ყოველთვიურად მოვალეთა რიცხოვნობის ლამის სამი ათასი კაცით მატება, ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კატასტროფულთან მიახლოების უაღრესად საგანგაშო ნიშანია. თუ ერთი წლის წინათ მოვალეთა მთლიანი ოდენობა ასი ათას კაცს ვერ აღწევდა, ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, მათი რიცხვი თითქმის მესამედით გაიზარდა, სააღსრულებო საქმეთა რიცხვმა ოქტომბრისთვის 7 ათასს, ხოლო უკვე აღსრულებულ საქმეთა ოდენობამ 4,6 ათასს გადააჭარბა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებიდან ყოველი მეათე პრობლემურია. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ერთიან ბაზაში 124 ქვეყნის კომერციული ბანკების მიერ გაცემული პრობლემური სესხების თაობაზე სათანადო ინფორმაციაა თავმოყრილი. ამ ნუსხაში საქართველო 52-ე ადგილზეა, რაც

მართალია, სადღეისოდ ჯერ კიდევ საგანგაშო არ არის, მაგრამ აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ მოსახლეობის მიერ აღებული სესხების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო ბაზარზე აღებული არაოფიციალური კრედიტებია, რომლებიც ერთიან საბანკო სტატისტიკაში არანაირად არ აისახება. ასეთი ვითარების გამომწვევი მრავალი მიზეზიდან უმთავრესი ის არის, რომ კერძო მევახშეებს მსესხებლები უკიდურეს შემთხვევაში, უმეტესწილად მას შემდეგ მიმართავენ, რაც კომერციული ბანკები მათ კრედიტების გამოყოფაზე უარს ეუბნებიან. ამას, ჩვეულებრივ, მსესხებლის, რბილად რომ ვთქვათ, არასაიმედო ეკონომიკური მდგომარეობა, გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებს.

მოსახლეობაში უძრავი თუ მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ოდენობის ზრდას ბოლო ათწლეულის მანძილზე მუდმივი ტენდენციის ხასიათი აქვს, რაც, უწინარესად, უმუშევრობის მაღალი და ამ ფონზე დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავლის დაბალი დონეებითაა განპირობებული. როგორც შედეგი, ქვეყანაში უამრავმა იპოთეკარმა საცხოვრისი უკვე დაკარგა, მრავალიც კიდევ ამის რეალური საფრთხის წინაშეა. ხალხის უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობაზე პერმანენტური საპროტესტო აქციებიც თვალნათლივ მოწმობს, რომლებსაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი იპოთეკარები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ქვეყნის სხვა ქალაქებში ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე ყურადღების გასამახვილებლად მართავენ. ამასთან, მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ რაიმე კონკრეტული გამოსავლის გამონახვა, თუნდაც ბოლო ორი წლის მანძილზე, ვერა და ვერ მოხერხდა.

წელან ქვეყანაში გადახდისუუნარო მოქალაქეთა რიცხოვნობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზები — ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების დაბალი დონეები, ასევე დასაქმებულთა უმეტესი ნაწილის აშკარად არასაკმარისი შემოსავალი დავასახელეთ. გარდა ამისა, ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ **პრობლემები სესხების ოდენობის მასაზრდოებელი გარემოა ასევე რისკების არასწორი, არაადეკვატური შეფასება, მსესხებლის მიერ ვალის გასტუმრების ყველა პირობის აშკარად არასაკმარისი ცოდნა, საკუთარ ფინანსურ პოტენციალთან მისი თვალშისაცემი შეუსაბამობა, სესხის გასტუმრების პირობების დარღვევის შემთხვევაში არაადეკვატურად მკაცრი საფინანსო სანქციები და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სისტემისთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სააღსრულებო კანონმდებლობის არარსებობა.**

ისევ მსოფლიო ბანკის მონაცემებს თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ **სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთების სიდიდით საქართველო მსოფლიოში მე-11, პოსტსაბჭოთა სივრცეში მე-2, ხოლო სამხრეთ კავკასიაში კი სულაც პირველ ადგილზეა!** თუ ჩვენი ეკონომიკური ზრდის ტემპს და ამ მონაცემებს ერთმანეთთან „შევაერთებთ“, აშკარა გახდება, რომ ქვეყნის მოსახლეობა უახლოეს ორ-სამ წელიწადში პრობლემური სესხების გაცილებით მაღალი ტემპით ზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე დგას, რაც ისედაც მეტად არასახარბიელო ფონს კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით ცხადია, რომ ამ შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავალი და მეტად უხალისო პერსპექტივის თავიდან აცილების გზა, ქვეყანაში მართებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა, რომელიც, უმთავრესად, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნაში უნდა იყოს გამოხატული და, ასევე, ხალხისთვის რეალურ საჭიროებასთან თუნდაც მიახლოებული შემოსავლის უზრუნველყოფა. ყოველივე ამის თაობაზე უამრავ ადრინდელ პუბლიკაციაში უკვე გვქონდა ლაპარაკი, მრავალი კვალიფიციური ექსპერტის მოსაზრებაც გავხადეთ საჯარო, თუმცა კი, არსებითი ძვრები ამ საკითხებში, ჯერ კიდევ ჰორიზონტზეა. ჰორიზონტი კი, ბატონებო, მოგეხსენებათ, წარმოსახვითი ხაზია ცასა და დედამიწას შორის...

ნინო ალექსანდრია

◎ დასავლეთთან, ოღონდ არა მოწინავე ხაზზე!

„თუ აფხაზეთში რაიმე მოძრაობა დაიწყება რუსეთის წინააღმდეგ, ისინი მუჰაჯირების ბედს გაიზიარებენ!“



ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე „ივერიონს“ რუსულ-აფხაზურ ურთიერთობაზე, ემზარ კვიციანის მიმართ გამოტანილ მკაცრ განაჩენსა და ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ პერსპექტივაზე ესაუბრა.

— ბატონო ვახტანგ, დღევანდელი მწვავე თემა გახლავთ ის, რომ უკვე მოეწერა ხელი რუსეთ-აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით ადეკვატური რეაქცია ჰქონოდა, ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული ხელოვნური საპროტესტო აქციით დაკმაყოფილდა. აფხაზთა უხუცესთა საბჭოს პროტესტის მიუხედავად, სამოკავშირეო დოკუმენტის მუხლებში რუსეთმა არაფერი შეცვალა. რა შედეგი მოჰყვება ამას?

— იმის თქმა, თითქოს საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო გააქტიურებულიყო ან რაღაც მეტი გაეკეთებინა რუსეთ-აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების ხელის შესაშლელად, არარეალურია, რადგან რეალობა რაც არის, აშკარად ვხედავთ.

რუსეთის წინააღმდეგ აფხაზი უხუცესებიც ვერაფერს გახდებიან, რადგან, თუ აფხაზეთში რაიმე მოძრაობა დაიწყება რუსეთის წინააღმდეგ, ის მოხდება, რაც რუსეთსა და მუჰაჯირებს შორის მოხდა მე-18 საუკუნეში. ასე რომ, მათ მიერ რუსეთისკენ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, 2008 წლის შედეგებზე უარესი შეიძლება აღმოჩნდეს!

ნაციონალური მოძრაობის პროტესტი რუსეთ-აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების საწინააღმდეგოდ არაგულწრფელი იყო. 2008 წლის შემდეგ, მათი მმართველობის დროს, რუსეთის მიმართ სანქციები მალე შეჩერდა და ნაციონალები რომ უკიჟინებენ დღევანდელ ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯებისკენ, თვითონ რატომ ვერ მოახერხეს რაიმეს შეცვლა?

სხვა საკითხია, როგორ მუშაობს ქართული დიპლომატია. შენი ქვეყნის დიპლომატიის სააშკარაოზე გამოტანა არაა მომგებიანი ხელისუფლებისთვის. რუსეთს სურს, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი გააერთიანოს. რეალური ნაბიჯების გადადგმის თავი, პოლიტიკური პროპაგანდის გარდა, არ გვაქვს. ჩვენ უნდა ვიყოთ დასავლეთთან, მაგრამ არა მოწინავე ხაზზე!

— ყბადაღებულია „კვიციანის თემა“. ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი და საზოგადოების ნაწილი მისთვის გამოტანილ განაჩენს მკაცრს და არარეალურს უწოდებს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა კოდორის ე.წ. „გმირები“ დაუსჯელად დაპარპაშებენ. რას ნიშნავს ეს — დღევანდელი ხელისუფლება ე.წ. ნაციონალების კურსს აგრძელებს თუ ემზარ კვიციანი ის კერკეტი კაკალია, ხელისუფლებას მომავალი არჩევნების წინ ხელს რომ შეუშლის?

— მე არ ვარ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში კოდორის ხეობაში ყველაფერი კანონიერი იყო. რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვიცი, ისაა, რომ კოდორის ხეობაში შეიარაღებული დაპირისპირება მართლაც მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ კვიციანი ამ შემთხვევაში ფრთიანი ანგელოზია. ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა იქ ჯარის შეყვანის უფლება და ეს კვიციანის გადასაწყვეტი არ იყო!

12 წელი თუ ვინმეს ებევრება, უნდა გაასაჩივროს.

ჩემი აზრით, შეიარაღებული ფორმირებები არ უნდა წახალისდეს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ „მონადირე“ თევზაძის დროს ოფიციალურ სტრუქტურულ გაერთიანებად გააფორმა, რამდენადაც ვიცი, შემდეგ გააუქმა. თუ გაუქმებული იყო, მისი აღდგენა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირება დანაშაულია!..

— ემზარ კვიციანის მეგობრები და სამხედრო პირებიც კი მიიჩნევენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ქართულმა სასამართლომ, ფაქტობრივად, დაასამარა. იგივე პრეტენზიები აქვთ პროკურატურის მიმართ. არადა, მთავარ პროკურორს, დღევენდელი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.

— სასამართლო ქვეყანაში ყველას მიმართ თანასწორი უნდა იყოს. ის უნდა შესრულდეს, ხოლო გამონაკლისებს თუ დავუშვებთ, ერთის მიმართ ვიქნებით ლმობიერი, მეორესთან — არა, ასეთი დამოკიდებულება სახელმწიფოს ინტერესებს დააზარალებს. ვინ იცის, კვიციანი შეიძლება პრეზიდენტმაც კი შეიწყალოს და გათავისუფლდეს!

— რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ირაკლი ალასანიას, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. თქვენი აზრი, ის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსია თუ „უცხოეთის“ „დაკვეთას“ ასრულებს?

— ვიცი ერთი რამ, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. ალასანია თუ „დაკვეთას“ ასრულებს, ეს ხელისუფლებამ უნდა გამოამჟღავნოს!

ის, რომ ირაკლი ალასანიას დასავლეთის მხარდაჭერა აქვს, როგორც გამოკვეთილ პროდასავლურ ლიდერს, ფაქტია. მან სწორად თუ იმუშავა, აქვს პერსპექტივა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირება ნაციონალებსა და ხელისუფლებას შორის ცხადია, „თავისუფალ დემოკრატებს“ ოპოზიციაში დასამკვიდრებლად დიდი მუშაობა მოუწევთ — მათ ადგილს ხონჩით არავინ მიართმევს. ალასანიას პერსპექტივა და ძალა აქვს, კარგი იქნება, სამომავლო სტრატეგია სწორად ჩამოაყალიბოს.

— ირაკლი ალასანიამ კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვა. იყო თუ არა ეს სწორი პოლიტიკური ნაბიჯი?

— როცა ის თავისი ნებით არ გადადგა თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ ერთჯერადი ტაქტიკური ნაბიჯი. არადა, მას ასე უნდა განეგრძო — არ უნდა დაეტოვებინათ კოალიცია და ხელისუფლებასთან დაპირისპირება უნდა გაეგრძლებინათ შიგნიდან. თავისი ნებით არ უნდა გადამდგარიყვნენ მაია ფანჯიკიძე და ალექსი პეტრიაშვილი. ალასანიამ თუ აიძულა ხელისუფლება გაეთავისუფლებინათ, მომგებიანი იქნებოდა ასე გაგრძელება. ისინი იქნებოდნენ რადიკალური ფრთა კოალიციაშივე და აქედან გადავიდოდნენ ოპოზიციაში და გაზაფხულზე ოპოზიციონერად ჩამოყალიბების პროცესი დასრულდებოდა.

ესაუბრა
ია ჯღარკავა

◎ ახალი აურზაურის მოლოდინში

პარლამენტი მაჟორიტარი დეპუტატების გარეშე დარჩება?

საქართველოში შესაძლოა, მაჟორიტარული სისტემა გაუქმდეს და მის ნაცვლად, სრულიად პროპორციული სისტემა ამოქმედდეს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი საკითხი დღის წესრიგში არასაპარლამენტო ოპოზიციამ დააყენა, რომლის პოზიციას რესპუბლიკელებიც იზიარებენ.

მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თაობაზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იმსჯელებს, მაგრამ მანამდე, პოლიტიკური ძალები იმ მოდელზე აპელირებენ, რომელმაც მაჟორიტარული სისტემა უნდა ჩაანაცვლოს.

როგორც for.ge-ს „ახალი მემარჯვენეების“ წევრმა **მამუკა კაციტაძემ** განუცხადა, ხელისუფლება კვლავ იმეორებს, რომ „სარჩევნო კოდექსი“ უნაკლოა, მაგრამ კანონმდებლობაში ბევრი ნაკლოვანება არსებობს. მისი შეფასებით, საქართველოში ამჟამად, საარჩევნო სისტემის მახინჯი მოდელია, რომელიც მანდატების მოპარვის საშუალებას იძლევა.

„თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 43 პროცენტი მიიღო, მაგრამ მანდატების 75 პროცენტი აიღო, ანუ მანდატების 30 პროცენტი მოიპარა, სისტემაა ასეთი. პარლამენტშიც ასე ხდებოდა და თუ არაფერი შეიცვალა, მომავალშიც ასე მოხდება. მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს და პოლიტიკური პარტია არჩევნებში ხმების რამდენ პროცენტსაც მიიღებს, მან იმდენი პროცენტის მანდატები უნდა აიღოს როგორც პარლამენტში, ასევე საკრებულოში, ანუ მხოლოდ პროპორციული სისტემა უნდა არსებობდეს“, — განაცხადა კაციტაძემ, რომლის პათოსს იზიარებს „ქართული დასის“ ლიდერი.

for.ge-სთან საუბარში **ჯონდი ბაღათურია** აცხადებს, რომ პარაზიტად გადაქცეული მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად, საერთო პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ.

ბაღათურიას მოსაზრებით, თუ სახელმწიფო ასეთ სისტემაზე გადავა, პარლამენტში 80-პროცენტიანი უმრავლესობა აღარ იქნება, რომლებიც ძირითადად საკუთარ კეთილდღეობაზე, სახელფასო დანამატსა და პრემირებაზე ზრუნავს და არა ეკონომიკურ რეფორმებსა და პენსიაზე.

„პარაზიტებად გადაქცეულ მაჟორიტარებს ვეღარ ნახავთ, რომლებიც საკუთარი რაიონის ბიუჯეტსა და მოსახლეობას სისხლს წოვენ“, — აღნიშნავს ბაღათურია.

არასაპარლამენტო ოპოზიციის მსგავსად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მომხრეა უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი,** რომელიც for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ერთმანდატიანი ოლქები კრიტიკას ვერ უძლებს. მისი შეფასებით, საარჩევნო ოლქებს შორის თანაზომადობა არ არის, რადგან ყაზბეგისა და გლდანის მოსახლეობა ერთი და იმავე რაოდენობის დეპუტატს ირჩევს.

„არსებულ სისტემას სულ ვაკრიტიკებდით, რომლის ჩანაცვლების რამდენიმე ძალიან კარგი ვერსია არსებობს. კერძოდ, ეს იქნება რეგიონალურ-პროპორციული სიები თუ გერმანული მოდელი, სადაც პარტია იმდენ მანდატს იღებს, არჩევნებში რამდენც ხმასაც მიიღებს. რომელიმე რბილი საარჩევნო სისტემის მიმართ ვარ განწყობილი და შეიძლება, ერთიანი პროპორციულ-რეგიონალური სისტემა იქნეს შემოღებული“, —აცხადებს ბერძენიშვილი, რომლის თანაგუნდელი **გია ვოლსკი** საკითხის დეტალურ შესწავლაზე აპელირებს.

for.ge-სთან საუბარში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებით, ერთმნიშვნელოვნად იმის გადაწყვეტა, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს, არ შეიძლება.

ვოლსკის განცხადებით, მანდატების მექანიკური განაწილება არ უნდა ხდებოდეს და პრობლემები მცირე მოსახლეობიან რეგიონებს და საზღვრისპირა სოფლებს არ უნდა შეექმნათ, სადაც მოსახლეობა ისედაც ცუდად არის დამაგრებული.

„მოსახლეობის მცირე რაოდენობას საშუალება არ უნდა წავართვათ, რომ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთ. ამომრჩევლის რაოდენობის მიხედვით მანდატების გადანაწილება საფრთხეს შეუქმნის როგორც სახელმწიფო ინტერესებს, ასევე მის უსაფრთხოებას“, — აცხადებს ვოლსკი, რომლისგან განსხვავებით, საკითხს ამ ჭრილში არ უყურებს პარლამენტის თავმჯდომარე.

დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ საარჩევო სისტემის დახვეწა და მისი სამართლიანობის პრინციპთან მიახლოება, სერიოზული ამოცანაა. სპიკერის შეფასებით, არსებული საარჩევნო სისტემა სერიოზული კრიტიკის ობიექტია არა მხოლოდ პროპორციულ-მაჟორიტარობის გამო, არამედ მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის თვალსაზრისით.

უსუფაშვილის განმარტებით, პოლიტიკურ წრეებს საარჩევნო სისტემასთან და პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მუშაობა მოუწევთ.

„2008 წლის გაზაფხულს გავიხსენებ, როდესაც მაშინდელი ოპოზიციონერები მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ვითხოვდით. მაშინდელ ხელისუფლებასთან პროპორციულ სისტემაზე გადასვლის თაობაზე შევთანხმდით, მაგრამ მეორე დღეს, მათ „სიურპრიზად“ განგვიცხადეს, რომ გადაწყვეტილება შეცვალეს. სამწუხაროდ, იმ შეთანხმების დარღვევამ ქვეყნისთვის ბევრი ცუდი მოიტანა“, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც საკითხზე საუბრობდა არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვდა.

ინტერპარტიული ჯგუფის წევრებმა, რომელშიც 12 პოლიტიკური პარტიაა გაერთიანებული, დავით უსუფაშვილთან გამართული შეხვედრა პოზიტიურად შეაფასეს და პარლამენტის თავმჯდომარე საკითხზე მოკავშირედაც კი მიიჩნიეს.

აღსანიშნავია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია კონსულტაციების განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციის საკითხსაც დააყენებს, რადგან მათი შეფასებით, უსამართლობაა, როდესაც ადმინისტრაციის 13 წევრიდან 11 წევრი ხელისუფლების წარმომადგენელია.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტი პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 დეპუტატისგან შედგება.

თეონა მანაგაძე

◎ ალიანჩალიანი

რიკოთის გვირაბში შეჯახების შედეგად, მსუბუქი ავტომობილი დაიწვა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მსუბუქი ავტომობილი სატვირთოს შეეჯახა.

„ოპელს“, რომელშიც დამონტაჟებული იყო ბუნებრივი აირის ბალონი, შეჯახების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა და ავტომობილი დაიწვა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ცეცხლის გაჩენის შემდეგ, მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა გვირაბიდან გამოსვლა შეძლო. გვირაბში დაგროვილი კვამლის გამო, საცობი შეიქმნა, რის შემდეგაც პოლიციამ მგზავრების ევაკუაცია მოახდინა.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

ინტერპრესი

გია ვოლსკი: სასწორზე დგას საქართველო, მისი ხვალინდელი დღე

პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტები გუშინ ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებული 9-პუნქტიანი რეზოლუციის პროექტზე მსჯელობდნენ. რეზოლუცია რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებას ეხება და საქართველოს ხელისუფლებისგან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს.

აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და ნაციონალური მოძრაობის მიერ შემუშავებული რეზოლუციის საკითხზე for.ge-ს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გია ვოლსკი ესაუბრა.

— ბატონო გია, როგორ შეაფასებდით ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებულ რეზოლუციას? დაუჭერს საპარლამენტო უმრავლესობა მხარს ამ დოკუმენტს?

— მათ სტრატეგიას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია. ჩიხში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, სწორედ, ნაციონალურმა მოძრაობამ შეგვიყვანა. ვიმსჯელებთ დღეს ამ საკითხზე.

უმრავლესობის პოზიციაზე ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ამ საკითხზე მსჯელობის დროს რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა მნიშვნელოვნად დაუპირისპირდა საერთაშორისო მოთხოვნებს, წინადადებებს, „საგზაო რუკას“, რომელიც მათ ძალიან ეფექტურად შესთავაზეს კიდეც და ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა უზრუნველყვეს — ეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, 2006 წლის ივლისამდე ხდებოდა... მიგვიყვანეს იქამდე, რომ რუსეთს ყველა სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში შეუწყვეს ხელი საკუთარი გაუაზრებელი პოლიტიკით. ახლა გვთავაზობენ, ყველანაირი მოლაპარაკება შევწყვიტოთ და შევუერთდეთ სანქციებს. ამ პოლიტიკით კვლავ უპირისპირდებიან იმ საერთაშორისო მოთხოვნას, რაც სულ ახლახან, პრემიერის ბრიუსელში ყოფნისას ევროკავშირმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოხატა. კონკრეტულად, ეს არის საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებული სტრატეგიის მხარდაჭერა რუსეთთან მიმართებაში. ყველასთვის გასაგებია ბრიუსელშიც და ვაშინგტონშიც, როგორ მოქმედებს საქართველოს მთავრობა.

ასე რომ, მე ვფიქრობ, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის გულითად აღტყინებას არ გამოხატავს ეს დოკუმენტი, ისევე, როგორც 15 ნოემბრის აქცია — ეს არის ძალისხმევის მიმართულება იქითკენ, რომ შეარყიოს საქართველოს სტაბილურობის მაჩვენებელი — რაც საკმაოდ მაღალია და რასაც საერთაშორისო რეიტინგები ადასტურებს.

კატეგორიული ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში არათუ არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს, არის აგრესიული და სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონულ და საერთაშორისო სტაბილურობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა წავიდეს ისეთ ნაბიჯებზე, რომ რუსეთს საშუალება მისცეს, არაკონსტრუქციულობა დაგვაბრალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამაშიც არ იქნება რუსეთი მართალი. არ უნდა შეიქმნას ვითარება, რომ მოლაპარაკებების არარსებობის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯი, რომელიც კონფრონტაციის ისეთ ხარისხზე გაგვიყვანს, საიდანაც გამოსავლის პოვნა უკიდურესად რთული იქნება, რაც, კიდევ ვიმეორებ, არ არის ის პოზიცია და სტრატეგია, რომელსაც ჩვენი მოკავშირეები გვკარნახობენ.

— რუსეთთან წარმოებული ერთგვარად ფრთხილი პოლიტიკისთვის ოპონენტები მკაცრად გაკრიტიკებენ. ნაციონალური მოძრაობა ხშირად აცხადებს, რომ ხელისუფლება რუსეთის გაღიზიანებას ერიდება და ეს სტრატეგია შედეგს ვერ მოიტანს. უკმაყოფილებას გამოხატავენ საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი საკითხების სათანადოდ დაუსმელობისთვისაც. რა არგუმენტები გაქვთ მათ წინააღმდეგ?

— ბრალდება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის საერთაშორისო დონეზე აქტუალიზაციისთვის არაფერს აკეთებს, არის პროვოკაციული სიცრუე. ბრიუსელში პრემიერის ყოფნის დროს, ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელობების განცხადებებმა აშკარად აჩვენა, რომ საქმე გვაქვს ვითარების ფალსიფიცირებასთან, რაც ახასიათებს ნაციონალურ მოძრაობას და მათ პოლიტიკას.

— ნაციონალური მოძრაობის მიმართ თქვენი და თქვენი თანაგუნდელების განწყობა აჩენს ვარაუდს, რომ მათ მიერ მომზადებული რეზოლუცია დიდი ალბათობით ჩავარდეს. საპარლამენტო უმრავლესობა ხომ არ გეგმავს, ალტერნატიული რეზოლუცია მოამზადოს?

— პარლამენტმა ახლახან მიიღო განცხადება, რომელშიც ზუსტად ფასდება, რა ვითარება და მისწრაფება აქვს რუსეთს, ამის გათვალისწინებით კი საგანგებო ამოცანებია დასმული საქართველოს ხელისუფლების წინაშე. ვფიქრობ, ამომწურავი პასუხი გავეცით შექმნილ ვითარებას, რასაკვირველია, ეს არ არის გამოსავალი, ვითარება საკმაოდ რთულია. მე პირადად ახალი განცხადების აუცილებლობას ვერ ვხედავ, თუმცა, არ გამოვრიცხავ პროექტის მომზადებას. საჭიროა დამატებითი კონსულტაციების გავლა, თუ რამდენად გამოადგება ეს, არა რომელიმე პოლიტიკურ გუნდს, არამედ ქვეყანას და უშუალოდ საქართველოს ინტერესებს.

— რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების საკითხზე მნიშვნელოვანია თავად აფხაზი ხალხის პოზიციაც, ანუ, თუ 90-იან წლებში აფხაზი ხალხის მოთხოვნა დამოუკიდებლობა იყო, ამ ხელშეკრულებით გამოდის, რომ მათი დე ფაქტო მთავრობა დოკუმენტურად ამბობს უარს დამოუკიდებლობაზე.

— მოსკოვის მიერ წარმოდგენილ პროექტსა და სოხუმის მიერ მომზადებულ ალტერნატიულ ხელშეკრულებას შორის სხვაობა არის. ხაჯიმბა იძულებული გახდა აფხაზი საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის შეშფოთება გაეზიარებინა და ბევრი რამ შეიცვალა იმ ტერმინებში, რომელიც მოსკოვს ჰქონდა წარმოდგენილი.

მაგალითად, რუსული ვერსიის სახელწოდებაში, პრეამბულასა და მთლიან ტექსტში ფიგურირებს სიტყვა „ინტეგრაცია“, აფხაზურ ვარიანტში — „ინტეგრაცია“ შეცვლილია „სტრატეგიული პარტნიორობით“ და ეს ხაზი გასდევს მთელ ამ დოკუმენტს.

რუსეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართველი ცხოვრობს და ეკონომიკურად არის დაკავშირებული თავის ოჯახებთან საქართველოში. კონფრონტაციული ხაზის გატარება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს საქართველოსთვის.

რუსეთის ვერსიაში არის თანამშრომლობა, მჭიდრო პარტნიორობა და ინტეგრაციული კავშირები, აფხაზურ ვერსიაში ვკითხულობთ — „ურთიერთმოქმედება, მოკავშირეობა და სტრატეგიული პარტნიორობა“. რუსულ ვარიანტში — „შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა“, აფხაზურში — „კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა“, რუსულ ვარიანტში — „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე“, აფხაზურში — „აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“, ანუ წამოწეულია პარტნიორული თემები და არა ინტეგრაციული.

თუმცა, მე სოხუმის ვერსიას ადვოკატირებას ვერ გავუწევ, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. როგორც მოსკოვის, ისე სოხუმის მიერ წარმოდგენილი ვერსიები საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, სრული ნონსენსია. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობს და მასთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება ინტეგრაციაზე იქნება ეს ორიენტირებული თუ პარტნიორობაზე, მიუღებელია არა მხოლოდ საქართველოსთვის, საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს მოლაპარაკებების წარმოებას რუსეთთან. არა იმის გამო, რომ როგორც ნაციები ამბობენ, მწვანილი და პამიდორი გავყიდოთ, არამედ იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ სტაბილურობა და ბიზნესის კეთების მაღალი მაჩვენებლები. უსაფრთხოების თემა უნდა წამოვწიოთ წინ — ისეთ აგრესიულ მხარეს, როგორიც რუსეთია, არ უნდა მივცეთ აგრესიის განხორციელების საშუალება და ვიყოთ იმ პოზიციაზე, რასაც მოლაპარაკებების გზით პრობლემის მოგვარება ჰქვია. ეს არის ჩვენი არგუმენტები.

— მოლაპარაკების ფორმატის შენარჩუნებაზე საუბრობთ, თუმცა, ფაქტია აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებმა ვერაფრით შეაჩერა რუსეთის ანექსიური პოლიტიკა და ვერ შეაფერხა აფხაზეთთან ხელშეკრულების გაფორმება, ასეთ პირობებშიც აქვს აზრი მოლაპარაკების გაგრძელებას?

— მოლაპარაკებების წარმოების საკითხზე მძლავრი მხარდაჭრა გვაქვს თანამეგობრობისგან. ასეთ პირობებში ანექსიის მცდელობასთან და ოკუპაციასთან დაპირისპირება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მოლაპარაკებების ფორმატის მიღმა დარჩენა და მხოლოდ განცხადებებითა და შეშფოთებებით შემოფარგვლა. იმედი გვაქვს, მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებით მივაღწევთ ჩვენთვის მომგებიანი მოლაპარაკებების გამართვას. ამ ყველაფრის საწყის ეტაპზევე მონგრევა, შესაძლოა, ყველაზე მეტად ხელს აძლევდეს რუსეთს. შეიძლება ხელს აძლევდეს, როცა ვამბობ, ვგულისხმობ იმასაც, რომ რუსეთს, შესაძლოა, სურდეს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაგვიპირისპირდეს იმის გამო, რომ უგულველვყავით უსაფრთხოების აუცილებლობა. რაც უნდა მაღალი რეიტინგი გვქონდეს, არც ერთი ინვესტორი საქართველოში არ შემოვა, თუ ქვეყანაში დენთის სუნი ტრიალებს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართველი ცხოვრობს და ეკონომიკურად არის დაკავშირებული თავის ოჯახებთან საქართველოში. კონფრონტაციული ხაზის გატარება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს საქართველოსთვის.

პრობლემა სერიოზული და ძალიან მძიმეა, მაგრამ, როდესაც სასწორზე ვდებთ ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს, უნდა აუცილებლად გავითვალისწინოთ, გამოვთვალოთ, რომელი იქნება უფრო საზიანო ჩვენთვის. კონკრეტულად უნდა ავარჩიოთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის მოლაპარაკების გაგრძელება თუ შეწყვეტა.

არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში საქართველო ჩაწერილია საკმაოდ მკაფიო, მუქი შრიფტით და ხელშეწყობა და მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი. ამაზე უარის თქმა ან სხვა მიმართულების აღება საზიანო აღმოჩნდება ქვეყნისთვის. ასე რომ, აქ თვითმიზანი არ არსებობს — სასწორზე დგას საქართველო, მისი ხვალინდელი დღე და კონფლიქტის მოგვარების, ჯერჯერობით, ძალიან მყიფე, მაგრამ რეალური შესაძლებლობა. ალტერნატივა კი არსებობს ისეთი, რომელიც ამ პერსპექტივას სპობს.

ელენე აბესაძე

◎ ალიანჩალიანი

რეალისტები ჩინურ ენას სწავლობენ

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი საქართველოში ჩინური ენის სწავლების ინიციატივით გამოვიდა.

მათივე ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის დელეგაცია, საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის, ქალაქის მერის დავით ნარმანიას, ასევე საკრებულოს დეპუტატებისა და მერიის სხვა წარმომადგენლების შემადგენლობით, ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ გუანჯოუში გაემგზავრა. საკრებულოს ცნობით, გიორგი ალიბეგაშვილი საქართველოში ჩინური ენის სწავლების ინიციატივით გამოვიდა და აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაცია დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

მათივე ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, თბილისსა და გუანჯოუს მერებს შორის ოფიციალური შეხვედრა გაიმართება და ხელი მოეწერება ორ ქალაქს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რაც საინვესტიციო და ურბანული განვითარების, ასევე კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში თანამშრომლობას ისახავს მიზნად. საკრებულოს ცნობით, შეხვედრები ასევე ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთანაც არის დაგეგმილი. საკრებულოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ერთ კვირას გაგრძელდება.

ინტერპრესი

თქვენი ხმალი და ჩემი კისერი

სამშობლო ისევ გადასარჩენია

„სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია!“ — გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს რადიოს ერთ დარგობრივ რედაქციას ასეთი რუბრიკით ნახევარსაათიანი გადაცემა ჰქონდა.

ამ რუბრიკის ავტორი უმშვენიერესი, უნიჭიერესი, ზეკეთილშობილი ქალბატონი, მთავარი რედაქტორი მედეა გეგეშიძე გახლდათ.

იმ ხანებში თავად ტელ-რადიომაუწყებლობის თავკაცები კი ჯერ ნუგზარ ფოფხაძე, ხოლო შემდეგ არმაზ სანებლიძე, დიდი ერისკაცები გახლდნენ

ამას იმიტომაც ვამბობ, რომ მაშინ, „საძაგელი“ კომუნისტების დროს, ის ერთადერთი ტელე-რადიომაუწყებლობა ბევრად მეტ ეროვნულ საქმეს აკეთებდა, ვინემ დღევანდელი ტელევიზიები („ობიექტივის“ გამოკლებით).

სამშობლო მარტო ლამაზი მთები რომ არ არის, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ეს რუბრიკა გულგახსნილი, მამულიშვილური და სამშობლოზე ტკივილიანი საუბრების საბაბს იძლეოდა.

მე თვითონ არაერთი ნახევარსაათიანი გადაცემა მომიმზადებია. საზოგადოებას ვაცნობდი ნაღდ მამულიშვილებს, ერის კაცებს, დაწყებული მეტალურგებით, მეცნიერებით, მასწავლებლებით თუ ექიმებით, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებით დასრულებული. რამდენიმე მათგანი რადიოს ოქროს ფონდშიც კი დაბინავდა. შემდეგ რა ბედი ეწია, არ ვიცი.

დიახ, მაშინ ძალზე დიდი და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული საქმეები კეთდებოდა. ეს მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობაზე კრინტი რომ დაგცდენოდა, იმხანად, ლამის უსაქმოდ დარჩენილი „კაგებე“ ეგრევე ქეჩოში გწვდებოდა.

და მაინც მოხდა ის, რასაც თითქმის არავინ ელოდა — დიახ, დიდი სისხლის, წვა-დაგვის ფასად გავხდით დამოუკიდებელნი. მაგრამ ვაშა ამ ახალ საქართველოსო, ომახიანი შეძახილიც ვერ მოვასწარით, რომ ქვეყანა თავზე დაგვემხო.

ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია

დაილოცოს კახელი კაცის ნათელი და მახვილი ჭკუა-გონება.

ცოტას ისევ დავიშორიშორებ.

აკი ვთქვი. ჩემს სიყმაწვილეში ძე კაცი არ შემხვედრია, მამულის სიყვარულით ანთებული გული რომ არ ეგიზგიზებინა.

9 აპრილი კი, სისხლიანი, მაგრამ სასწაულებრივად ამაღლებული. ჩვენ მარტო სამშობლო კი არა, ერთმანეთი გვიყვარდა და მერე როგორ.

რუსთაველები ყოველდღე ჩამოვდიოდით და...

ისე ჩვენში დარჩეს და, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკათა ხალხებმა ყოველგვარი დავიდარაბისა და სისხლის გარეშე გაინაღდეს დამოუკიდებლობა.

მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ!

ერთი რამ ცხადია — უზომოდ გვიყვარდა სამშობლო... აი, ამ ნაცბანდელებს ასე რამ გაუყინათ სულგული. ამათთვის ხომ ფულის გარდა, არ არსებობს სხვა წმინდა, სიცოცხლის აზრის მანათებელი. კი, ალბათ, ესენიც ამბობენ სუფრაზე სამშობლოს სადღეგრძელოს, ფეხზედაც წამოუდგებიან, მაგრამ ეს ისეთივე ყალბია და არაფრისმთქმელი, როგორიც თუნდაც პარლამენტარ ჯაფარიძის სახე და შუშის თვალები, თუნდაც ხაბაზის გამოფხეკილი სული ან კუბლაშვილების ფუჭსიტყვაობა. რა აზრი აქვს ჩამოთვლას, ესენი თითქოს ერთ თარგზე არიან გამოჭრილნი, ერთ ყალიბში ჩამოსხმულნი.

არადა, ოდითგან ქართველისთვის მამულის სიყვარული — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — ხომ უზენაესი იყო ქართული ჯიშისა და გენის დღემდე მომტანი?

მაგრამ ვირმა რა, იცის...

ჩიორას ოინები

ეს ჩიორაა თუ ნაზამთრალი ბურძგლა ბელურა, უფრო ყვავის ბახალა, რაც გინდა დაარქვი, ქვეყნის მაოხრებელი კია და.

ახლახან მასავით უსისხლო და უჯიგრო თანაპარტიელ კანდელაკთან ერთად ევროპარლამენტში სამშობლო ისე პირწმინდად გაყიდა, მის ჯიშ-ჯილაგს საუკუნეები ვერ ჩამორეცხავს ამ შავ ლაქას.

თვით უცხოელებიც, არაფერს ვამბობ მეზობლებზე, უკიდურესად შეაშფოთა მათმა და მათი სულგაყიდული კოლეგების საქციელმა, მომხსენებლებმა ბოდიშიც მოიხადეს. ეგენი კი...

ვითომც არაფერიო, გადმოდგება, მაგალითად, ჩიორიკა ტრიბუნაზე, თავისი შუშის თვალების მზერას გაურკვეველ წერტილს მიაპყრობს და ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს — ათასობით სტუდენტს, სწავლის ქირა რომ ვერ გადაუხდიათ, ათი მილიონი უნდა გადაუხადოთო.

ვირეშმაკობს ჩიორიკა, ვითომ გული შესტკივა მომავალ თაობაზე, ისე უცხონდა მამის სული. მას ჰგონია, რომ ახალგაზრდების გულს მოიგებს, მოისყიდის. აი, შემომხედეთ, რა ერის მოყვარე ვარ. და თუ დამჭირდებით, სამაგიეროდ მხარში დაგვიდექით, ან ახლავე კობა ხაბაზის ნათახსირალ ნაცბანდა „თავისუფალ ზონაში“ ჩამწკრივდითო. ქვეყანა უნდა ავრიოთ, ჯანყიც გვჭირდებაო.

ისე კი, თუ გული მართლა ასე ეწვის, ამ რამდენიმე წლის წინათ „რაღაც“ 3 მილიონი, რა თქმა უნდა, ჩვენი, ხალხის ფული, ერთიანად რომ მოტეხა და ჩაიჯიბა, იქიდან ერთი მილიონი ამოიღოს და მიუბოძოს უქონელს, შეჭირვებულთ. ვითომ ჩემი პატარა შვილიშვილისა არ იყოს, ამ „ქვეყანას გადაგებულმა“ ქალბატონმა ცოტა რამ გაიმეტოს, თავისივე ნაცძმების მიერ გაღატაკებული, გაფცქვნილი თვისტომებისთვის, ღმერთი უწყენდა?

გგონიათ, ერთ თეთრს გააგდებინებ?

ნაჯახი რას მიზამდაო...

საახალწლო ნასუქი ღორივით თავ-კისერ გასქელებული წიკლაური ისევ ათუხთუხდა, ან როდის არ თუხთუხებს.

აქაოდა, პრემიერმა ეს რა გვაკადრა, როგორ, ჩვენ კაცის გატაცება, გამოსასყიდლის შეწერვა, ეგეთი რამეები როგორ დაგვაბრალა,. ჩვენ ხომ ანგელოზები ვართო.

თავი მოიკლა გაბაშვილმა, ასეთ ცილისწამებას ვერ ავიტანთო და აიფოფრა, მაგრამ რა აიფოფხა. რა თქმა უნდა, მთელი სანაცეთი აყავყავდა.

ვითომ მაგათი ხელმწიფობის დროს არ ჰყოლოდათ ციხეში ათი ათასობით პატიმარი, 100 ათასობით, უფრო სწორედ, 300 ათასი პრობაციონერი. მათი მოგონილი არ ყოფილიყოს ცოცხებით გაუპატიურება, 7 ნოემბერს, 26 მაისს არ ჩაეხოცოთ, არ მოეწამლოთ, ადამიანები არ ვეცემოთ და არ ვეწამებინოთ!

რაო, მე ხომ ჭურში არ ვიჯექი, მილიონი ჩემი თანამოქალაქის ხსოვნაში რა წაშლის იმ 9-წლიან ჯოჯოხეთს, თუ ჰგონიათ, თვალებში ნაცარს შეგვაყრიან?

მარტო მათი ვანიჩკას ორი „ტრუპი“ საკმარისია ნაცების ვერაგობის სამხილებლად.

ახლა კიდევ ეს „რუსთავი-2“ (თუმცა, არც სხვები აკლებენ ხელს)... და არის ერთი რია-რია, კაკანი, ერთმანეთის სულში ჩაფურთხება.

ამ დროს უცხოქვეყნელი წუხს, ადარდებს ის უსამართლობა, რაც გამყიდველი ქართველების ძალისხმევით ევროსაბჭომ გააჟღერა.

„საქართველოს წინააღმდეგ განაჩენი — აცხადებს, — ევროსაბჭოს მომხსენებელი მიქაელ იენსენი, — **ეს არის ნაციონალების რეზოლუცია“,** აღიარებს, რომ ნაციონალების მხარდამჭერთა ძალისხმევით ევროპარლამენტარების სურვილია დღევანდელი ხელისუფლების დამხობა და ნაცბანდის აღზევება, რადგან საამისოდ მათ აქვთ საფუძველი. აწუხებს, რომ ბოლომდე არ იბრძოლა ევროპის სახალხო პარტიისა და მათ თანამზრახველთა უკანონობის აღსაკვეთად.

...ხემ თქვა, ნაჯახი რას მიზამდა, ჩემი ტარი რომ არ ჰქონოდაო.

ფურთხის ღირსი ხარ...

არა, დიდი აკაკის სიტყვებს არ გავიმეორებ, ღმერთმა დამიფაროს. არადა, მაღლიდან დაგვყურებენ დიდ წინაპართა წმინდა და ნათელი სულები:

რა გჭირთ, ხალხო, ამ ნაცნაძირლების კაკანის, კრიახის, ქოთქოთის გარდა, სხვა საქმე არ გაქვთ? ქვეყანა თავზე გვემხობა, წაგვართვეს აფხაზეთი, სამაჩაბლო, ათი ათასობით მშიერ-მწყურვალი, უმუშევართა არმიები, ქვეყნიდან ისევ გარბიან ჭაბუკები და ქალიშვილები. აგერ, ჩემი მეზობელი ბესიკ მრევლიშვილი, ისრაელში დედასთან ჩავიდა, რომელიც იქ ჯახირობდა, წვალობდა, რაღაც ფულს შოულობდა, აქ დედასა და შვილს არჩენდა. ამასობაში ვაჟი დაუვაჟკაცდა, დაოჯახდა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა და წავიდა.

ეგ რომ ერთი იყოს... არადა, ყოველწლიურად ხუთი ათასამდე რუსთაველი ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს, რუსთავში ერთიც რომ ვერ დასაქმდება?

და განა მარტო რუსთავში. მთელ საქართველოს დემოგრაფიული კვდომა უწერიაო, კი გაიძახიან დემოგრაფები, სწავლულები, მამულიშვილები, გარდა ნაცმოძრაობისა.

კი, მესმის, მათ მიერ ჩვენგან წაღლეტილი ფულებით მოსყიდული უცხოელები უჭერენ მათ მხარს, იფარავენ, მაგრამ ჩვენ ხომ სახელმწიფო ვართ, ერი, ქვეყნის ბატონ-პატრონი. თუ სამშობლოს დასჭირდა... განა რა ღირს ეს სიცოცხლე!

ბოლოს და ბოლოს, შიმშილით სულის ამოძრომას, მონობას, დაცინვას, განა სიკვდილი არ სჯობს?!

მაგრამ რატომ სიკვდილი? ვთქვათ ომახიანად სათქმელი, არც არავის ვემონებით, ჩვენ ხომ დიდი დავითის, დიდი თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, სამას არაგველთა და...

განა რამდენი დიდი ქვეყნის დღევანდელი თაობები დაიკვეხნიან ასეთი დიდი წინაპრებით!

არა, ლოზუნგად ნუ გამიგებთ. მე ჩემი ხალხის სიტყვა და საქმეც ვიცი. მე იმ ასი ათასებთან ერთად ვიდექი იმ ავბედით 1956 წლის 5-9 მარტს და მაშინ, პირველად გავიგე, თუ რას ნიშნავს, იყო ქართველი, იმ მრისხანე რუსის იარაღისგან შეძრულ მსოფლიოში, ერთი ბეწო ქართველებმა ამოვიღეთ ხმა..

მას შემდეგ ათობით თუ ასობით მიტინგზე მომიწია დგომამ, ჩემს მეგობრებთან ერთად ბევრჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში. დიახ, დავამხეთ სააკაშვილის რეჟიმი, გვეგონა, საბოლოოდ გავიმარჯვეთ, მაგრამ...

არ მესმის, რატომ უნდა ვაპარპაშოთ ეგ ვაიპარლამენტარი ვაშაძეები, გოგორიშვილები, მაჭავარიანები, წერეთლები თუ წიკლაურები... რატომ და როდემდის უნდა დაგვცინონ და გვაბრიყვონ ერთმა მუჭა ნაძირალებმა, როგორ უნდა ბედავდეს ეგ ბელლის ვირთხა კანდელაკი ერის ღირსების შელახვას, რატომ უნდა შერჩეს მილიონების მოხვეჭა ენატარტარა „ნაჟურნალისტარ“ ირმა ნადირაშვილს... განა ბევრნი არიან, თითზედაც ჩამოითვლებიან!

ჰოდა, რატომ, რატომ, რატომ?!

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემს მამულს, ჩემს ერს კვლავ დასჭირდეს დიდი აკაკის სიმწრით ნათქვამ-წამოძახილის გამეორება.

ერო, იფხიზლე, მოდი, ისევ ვიქართველოთ, ღირსეულ წინაპართა აჩრდილებს ნუ შევაშფოთებთო.

აჰა, თქვენ ხმალი და ჩემი კისერი.

გივი ჯაბუა,
დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის
და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი,
მსოფლიო მწერალთა ასოციაციის წევრი.

◎ კაკალ გულში

წესიერებანი თუ ზეზები

● **ყოველდღე ირმა ნადირაშვილს რომ უყურებ, ხარ თუ არა ძალადობის მსხვერპლი?**

● **უკრაინელის და ქართველის გაბაასება:**

— ჩემი შეშფოთებული შენსას სჯობია!

— არა, ჩემი სჯობს შენს!

— ორივე მასკვა—რეკაში დამახჩობია, შენც დაისვენებ, მეც!

● **ნანუკა ჟორჟოლიანი რომ ვინმეს ნიჭიერებას შეაფასებს, იმ ქვეყანაში საგარეო საქმეთა მინისტრი ბერუჩაშვილი და პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე** ტყემალაძე უნდა იყვნენ! ზიმბაბვური სიბრძნე.

● **უჩა ნანუაშვილის ვიზუალი მომცა, ბაჩუკი ქარდავას ხიბლი, პაატა დავითაიას ქურთუკი და პენსიაზე 10 ლარი დანამატი, — გიჩვენებდით სეირს!**

● **..რაღას ვლანძღავდით და ქვას ქვაზე არ ვტოვებდით, როცა თინა ხიდაშელმა თქვა, აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავო...**

ადამიანმა თქვა ის, რაც ზედაპირზეა, ჩვენ კი ჩავაქვავეთ, ჩავაქვესკნელეთ და ჩავქოლეთ...

ახლა რომ ვუკვირდები, სახელების დარქმევა გვიჭირს რეალობისთვის, თორემ ჩუმ-ჩუმად ყველა სხვანაირად ვფიქრობთ...

გვეშინია ხმის ამოღების, ტაბუდადებული თემები გვიყვარს, საიდუმლოდ რომ ვინახავთ... ვაი, თუ ვინმემ გაბედა ხმის ამოღება, საიდუმლოს გამჟღავნებისთვის ანათემას გადავცემთ..

რა ვართ ეს ქართველები, ჩვენი საშველი არ არის და ვატყობ, არც იქნება!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ, ნატო და ევროკავშირი რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების კანონიერებას არ აღიარებენ

თბილისი მოითხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიასთან დაკავშირებით

შეერთებულმა შტატებმა, ნატომ და ევროკავშირმა განაცხადეს, რომ არ აღიარებენ „ეგრეთ წოდებულ შეთანხმებას“ საქართველოს რეგიონ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის, ვინაიდან აფხაზეთს, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთს, საქართველოს განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევენ:.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის მეთაურმა რაულ ხაჯიმბამ 24 ნოემბერს სოჭში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის. შეთანხმებაში გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, აგრეთვე რუსეთისა და აფხაზეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით.

„ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს შეასრულოს თავისი ვალდებულებანი 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, გაიყვანოს ჯარები იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ კონფლიქტამდე, უარი განაცხადოს საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — აღიარების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მიანიჭოს თავისუფალი შეღწევა ჰუმანიტარულ დახმარებას ამ რეგიონებში“,— განაცხადა 24 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის დირექტორმა ჯეფ რატკემ.

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის სიტყვების თანახმად, „ეგრეთ წოდებული შეთანხმება“ რუსეთსა და აფხაზეთს შორის „არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებების პრინციპებს, ეუთოს პრინციპებსა და რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს“.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ფედერიკ მოგერინიმ, თავის მხრივ, განაცხადა: „რუსეთის ფედერაციის „ხელშეკრულება“ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთან აფხაზეთთან ზიანს აყენებს იმ ძალისხმევას, რომელიც ემსახურება რეგიონში ვითარების სტაბილიზაციას უშიშროების თვალსაზრისით“.

ნატომ და ევროკავშირმა, ისევე როგორც შეერთებულმა შტატებმა, გამოხატეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის „მტკიცე მხარდაჭერა“ და კვლავ მოუწოდეს რუსეთს შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი.

„ანექსიური პოლიტიკა“

ახალი ხელშეკრულების ხელმოწერამ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის თბილისში მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოსკოვის უკანონო მოქმედებებს უწოდა საქართველოს ტერიტორიის „ფაქტობრივი ანექსიის ნაბიჯი“, აგრეთვე გამოწვევა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აკეთებს საქართველოს როგორც ევროპული მისწრაფებების, ისე ევროპის უშიშროების წინააღმდეგ მთლიანად. მიუხედავად ამისა, მისი სიტყვებით, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს საქართველოს საგარეოპოლიტიკურ ორიენტირებზე.

„საქართველოს მთავრობა არასოდეს იტყვის უარს თავის სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე, და არ აქვს განზრახული წავიდეს კომპრომისზე ამ საკითხში. საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის საკითხი კი განსაზღვრავს რუსეთის პატივისცემას ამ პრინციპისადმი... მიუხედავად ამ გამოწვევისა, საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი უცვლელი რჩება, საქართველოს ხელისუფლება კი კვლავ არ დაიშურებს ძალისხმევას იმისთვის, რომ აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას შეუქმნას ევროპული განვითარების პერსპექტივა, რომელიც სულაც არ არის მიმართული რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ“, — ნათქვამია ღარიბაშვილის 24 ნოემბრის განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავის მხრივ, 24 ნოემბრის ტელემიმართვაში განაცხადა, რომ „რუსეთის ანექსიური პოლიტიკა... უნდა შეხვდეს დაპირისპირებას“. კერძოდ, მან საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდა, გაერთიანდნენ, შექმნან „ერთიანი შეთანხმებული ხედვა“ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეუძლია საქართველოს, დასავლური ინტეგრაციის პირობებში, შესთავაზოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას და დაიწყოს საერთაშორისო ტრიბუნების აქტიური გამოყენება იმისთვის, რომ მიცეთ ადეკვატური შეფასება რუსეთის ნაბიჯებს საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით.

„ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ ამ საფრთხის გარშემო, და მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანაში არის რესურსი, რათა დავძლიოთ ეს ურთულესი სიტუაცია“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა თამარ ბერუჩაშვილმა რუსეთის მოქმედება დაუკავშირა საქართველოს პროგრესს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას დაგმოს რუსეთის უკანონო მოქმედებები.

„საქართველო მწვავედ დააყენებს რუსეთის ამ უკანონო მოქმედების საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, მათ შორის, გაეროშიც, სადაც ჩვენ უკვე მოვითხოვეთ უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარება. ეუთოშიც ჩვენ ასევე მოვითხოვეთ სპეციალური მუდმივი საბჭოს სხდომის მოწვევა. ამას გარდა, მოვითხოვეთ რეაგირება ევროსაბჭოდან, ნატოდან და ევროკავშირიდან. უკვე გაიმართა სატელეფონო საუბრები ჩვენს პარტნიორებთან“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

„ძვირფასი კავშირურთიერთობანი“

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მოსკოვი და სოხუმი აპირებენ ახალი ხელშეკრულების ხელმოწერას, საქართველოს ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“დაიწყო მოთხოვნა საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ 2012 წელს ინიციირებული ფორმატის შეჩერების შესახებ, რაც ნიშნავს ორმხრივ მოლაპარაკებას რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს პრემიერ-მინისტრმა. ჯერჯერობით კი, მისი აზრის თანახმად, რეგულარული შეხვედრები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან უნდა გაგრძელდეს.

„ხელმოწერილი ეგრეთ წოდებული ახალი შეთანხმება მორიგი აშკარა ნაბიჯია ტერიტორიული ანექსიისკენ. ჩვენ გვინდა სერიოზულად, სოლიდურად, სისტემურად მივუდგეთ შექმნილ მდგომარეობას, სადაც ყველა ბერკეტი, ყველა საერთაშორისო ფორუმი გათვალისწინებული უნდა იყოს... კავშირურთიერთობა რაიმე ფორმით ორ ქვეყანას შორის, როგორი რთულიც იგი უნდა იყოს, ეს არის აქსიომა. იმ დროს, როდესაც ურთიერთობანი კიდევ უფრო რთულდება, ეს კავშირები (კარასინთან პირდაპირი მოლაპარაკების ფორმატი) შეიძლება გახდეს უფრო ძვირფასი“, — განუცხადა ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს 25 ნოემბერს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის —აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა აღიარა და დამატებითი ჯარები და შეიარაღება გადაისროლა თავის სამხედრო ბაზებზე ან ტერიტორიებზე. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს მიიჩნევენ საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

უკრაინაში იზრდება იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ კიევის ძალოვან ოპერაციას დონბასში

თუ ნოემბერში ასეთი პოზიციის შესახებ, გამოკითხვის თანახმად, რაც განახორციელა უკრაინის სოციოლოგიურმა ჯგუფმა „რეიტინგმა“, 36 პროცენტმა განაცხადა, ოქტომბერში რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ამ თვალსაზრისს უჭერდნენ მხარს, იყო მხოლოდ 22 პროცენტი. თანაბრად გაიყო აზრი დონბასში ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც მხარეები შეთანხმდნენ სექტემბერში მინსკში.

მექსიკაში დააკავეს სტუდენტების გაუჩინარებაში ახალი ეჭვმიტანილები. ერთი წლის განმავლობაში დაიკარგა კიდევ 5 ათასი კაცი, შეგვახსენებენ სამართალდამცველები

ამ კვირაში პრეზიდენტი ენრიკე პენია ნიეტო გააკეთებს მნიშვნელოვან განცხადებას, რომელიც შეეხება სიტუაციას ჰერეროს შტატში და არა მხოლოდ იქ. აქტივისტები კვლავ აკრიტიკებენ ხელისუფლებას გულგრილობასა და უმოქმედობაში, ცდილობენ, მიაღწიონ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას. ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში 5 ათასზე მეტი კაცი დაიკარგა, და მხოლოდ ჰერეროში აღმოაჩინეს 500 ცხედარი, გამოკვლევა კი არ მიმდინარეობს.

ჩინეთის შახტში ხანძრისას დაიღუპა 24 მაღაროელი, 50-ზე მეტი დაზიანდა

ხანძარი მოხდა ლიაონინის პროვინციაში, მაღაროში, რომელიც ერთ-ერთი კომპანიის შვილეულია. მიზეზებს არ ასახელებენ. კომპანიამ შეაჩერა ყველა თავისი მაღაროს მუშაობა შრომის პირობების უსაფრთხოების შესამოწმებლად.

მერკელმა „გარდაუვალად“ მიიჩნია შემდგომი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ

შემდგომი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ გარდაუვალია, თუ რუსეთი არ შეცვლის თავის პოლიტიკას უკრაინასთან დაკავშირებით. კრიზისის დროს „კვლავ ირღვევა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“, — ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

თუ ხიფათი შეგემთხვათ...

თითქმის ყველა ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ცხოვრებაში ცუდი ამბავი არასოდეს არ შეემთხვევა, ხიფათში არასდროს არ გაეხვევა: არც ავარიაში არ მოყვება, არც ტყეში გზა არ აებნევა, არც გულის შეტევა არ მოუვა. მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ისეთია, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამიტომ უმჯობესია, ამისთვის მზად იყოთ. თქვენ კვლავაც შეგიძლიათ, იფიქროთ, რომ ცუდი არაფერი არ შეგემთხვევათ, მაგრამ, თუკი ძვემოთ მოყვანილ რჩევებს დაიმახსოვრებთ, გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე მათგანის გამოყენებამ დიდი სამსახური გაგიწიოთ თქვენ, ან ვინმე სხვას.

● როგორ უნდა ვუშველოთ სხვას, როცა ირგვლივ ბრბო შეგროვდა

გულგრილობის ეფექტი – ესაა წესი, რომლის თანახმად, რაც უფრო მეტი შემთხვევითი კაცია გარშემო, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მათში ვინმე რეალური დახმარების აღმომჩენი იქნება, რადგან თითოეული ვიღაც სხვის იმედად იქნება. ასეთ ვითარებაში თუ აღმოჩნდით, მაშინ: ა) ამოარჩიეთ კონკრეტული პირი, რომელსაც დაიხმართ, ამიტომ მაშინვე აღწერეთ ის და უშუალოდ მას მიმართეთ – აი, თქვენ, მწვანე ქურთუკიანო ახალგაზრდავ, დაზარალებულს თავი წამოუწიეთ! ბ) სხვასაც იმავენაირად მიმართეთ და სასწრაფოდ სამედიცინო დახმარების გამოძახება სთხოვეთ, არ გეგონოთ, რომ ვიღაცამ ეს უკვე გააკეთა, რადგან სხვებიც ასე ფიქრობენ. ამ დროს თქვენი მიზანია რამდენიმე კაცი დაზარალებულისთვის დახმარების გაწევაში პასუხისმგებელი გახადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გაჭირვებაში მყოფი კაცის გულგრილი მაცქერლები იქნებიან.

● როგორ უნდა მოიქცეთ მაშინ, როცა ტაძრის მეღლი საეჭვოდ მოგეჩვენათ

ყოველთვის, ვიდრე ტაქსში ჩაჯდებოდეთ, ეცადეთ, მანქანის ნომერი დაიმახსოვროთ. თუკი ტაქსის მძღოლის მოქცევამ დაგაეჭვათ, დაურეკეთ ნებისმიერ ნაცნობს (ან სულაც, ამის იმიტირება გააკეთეთ) და საუბრისას ახლობელს უთხარით, რომ უკვე ტაქსში ზიხართ და მანქანის ნომერი დაუსახელეთ. ამ დროს მძღოლს თქვენი დარეკვის ნამდვილი მიზანი არ ეცოდინება, მისთვის მთავარი იმის ცოდნა იქნება, რომ მისი მანქანის ნომერი კიდევ ვიღაცამ, მისთვის სრულიად უცნობმა პირმა იცის, ამიტომ, ავი ზრახვაც რომ ჰქონდეს, მასზე ხელს აიღებს.

● როგორ უნდა მოიქცეთ, თუ სასულეში ლუკმა გადაგცდათ

თუკი სასულეში ლუკმა გადაგცდათ და ვეღარ სუნთქავთ, დაუყოვნებლივ ოთხზე, ხელისგულებსა და მუხლებზე დაყრდნობით დადექით, შემდეგ ხელები მკვეთრად წინ გაწიეთ და იატაკზე მუცლითა და მკერდით დაეცით. ეს საკმაოდ არასასიამოვნოა, მაგრამ, როცა საქმე სიცოცხლის შენარჩუნებას ეხება, ასეთ „წვრილმანებს“ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

● როგორ უნდა მოიქცეთ, თუ თოვლქვეშ მოყვევით

თუკი ასეთი რამ დაგემართათ და არ იცით რომელ მხარეს იმოძრაოთ, პირის წინ პატარა ღრმული გააკეთეთ და შიგ ჩააფურთხეთ. მიზიდულობის ძალის ზემოქმედებით, ნერწყვი დედამიწის ცენტრისკენ დაიწყებს მოძრაობას, მაშასადამე თქვენ საპირისპირო მიმართულებით უნდა დაიძრათ.

● თუ ტყეში გზა აგებნათ

თუ ტყეში გზა აგებნათ, ხეებს ცალი მხრიდან მოუარეთ: თუ მემარჯვენე ხართ, მაშინ მარცხნიდან შემოუარეთ, თუ ცაცია – მაშინ გვერდი მარჯვენა მხრიდან აუქციეთ. ამ ხერხით თქვენ წრეზე სიარულს გადაურჩებით.

● თუ გულმა შეგიტიალა

თუკი გულის არეში მკვეთრ ტკივილს იგრძნობთ, სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე და ვიდრე აბებს დალევდეთ, რაც შეგიძლიათ ძლიერად და ღრმად ისუნთქეთ. ეს გულიდან სისხლის ამოქაჩვაში დაგეხმარებათ.

● თუკი მანქანით წყალში გადავარდით

თუ ასეთი რამ შეგემთხვათ, კარის მაშინვე გაღებას ნუ ეცდებით, რადგან წყლის ჭავლი სალონში შეგაგდებთ. ჯობს დაიცადოთ, სანამ მანქანა წყალში ჩაიძირება, კარი გამოაღეთ, ან შუშა ჩაწიეთ, რომ წყალი სალონში ნელა შემოვიდეს. მას შემდეგ, რაც ის თითქმის აივსება, შეგიძლიათ ამოყვინთოთ.

ისე კი, გირჩევთ, რომ უსაფრთხოების ღვედი მუდამ შეკრული გქონდეთ!

ჯობს შვილი ალერსით აღზარდოთ...

სიმკაცრეს ბავშვის აღზრდაში სიკეთეზე მეტი ზიანი მოაქვს.

კალიფორნიაში მეცნიერებმა ამ თემაზე მსოფლიოში პირველი გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგებმა მკაცრი აღზრდის სისტემის ნაკლოვანებები წარმოაჩინა. ის მაქსიმალისტი მშობლები, ვინც შვილებს ხშირად სჯიან, როგორც წესი, საპირისპირო შედეგს იღებენ – მათი პირმშოები თანატოლებზე გაცილებით უარესად სწავლობენ და მათთან, ასევე უფროსებთან ურთიერთობა უფრო უჭირთ.

„გადამწერი“ დოქტორი

თანამეგობრობა „დისერნეტის“ განცხადების საფუძველზე, რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, პლაგიატისთვის მეცნიერთა დოქტორის ხარისხი ჩამოართვა ამ წოდების ულირს მატარებელს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მინისტრის ბრძანებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გალინა ჟუკოვას ჩამოერთვა, რომელმაც იგი 26 წლის ასაკში (!) მიიღო.

– ეს პირველი გახმაურებული ბრძანებაა, რომლის შესახებ საზოგადოებრიობისთვის გახდა ცნობილი, – განაცხადა ამასთან დაკავშირებით „დისერნეტის“ დამფუძნებელმა ანდრეი ზაიაკინმა. – მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მწვავე პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ სამინისტროს 60-ზე მეტი განცხადება გავუგზავნეთ. ჩინოსნები უარს ნებისმიერი სამართლიანი თუ უსამართლო საბაბით გვეუბნებიან, რა დროსაც უგულებელყოფენ ამჟამად მოქმედ ისედაც უაღრესად არასამართლიან კანონებს. როგორც ჩანს, ყალბ დისერტაციებთან ბრძოლას სამინისტრო თავის მოვალეობად არ მიიჩნევს.

ჩვენში როგორღაა ამ მხრივ საქმეები, ქალბატონო მინისტრო?

ვეფხვთა... წყურვილის მსხვერპლნი

ინდოეთში კაციჭამია ვეფხვების თავდასხმების ყოველწლიურად არაერთი შემთხვევა ფიქსირდება. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ვეფხვების კაციჭამიობა ცხოველთა ავადმყოფობით, დასახიჩრებით ანდა სიბერითაა გამოწვეული, რის შედეგად ტრადიციული ნადირობით ჯუნგლებში საკვების მოპოვებას ვერ ახერხებდნენ.

მაგრამ, ცოტა ხნის წინათ გარეულ ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანებზე თავდასხმის მიზეზი არა შიმშილია, არამედ... წყურვილი! მას, თურმე, მტაცებლის ორგანიზმში ის ქიმიური პროცესები იწვევს, რომლებიც მარილიანი წყლის სმის შედეგად იწყება. ადამიანის რბილი ქსოვილები კი ამ პროცესების შეწყვეტას უწყობენ ხელს.

ვეფხვების თავდასხმებით გამოწვეული დიდი მსხვერპლის შესამცირებლად, რომელიც წელიწადში, არც მეტი, არც ნაკლები, 40 კაცს აღწევს (!), იმ ადგილებში, სადაც მტაცებლების თავდასხმები გაცილებით ხშირია, სასმელი წყლის რეზერვუარებს დგამენ.

სარკისებრი ჟესტების ენით

სამყაროსთვის ძველი და ისეთივე ამოუცნობი რამაა მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის უკლებლივ ყველა სფერო. განსაკუთრებულად ფაქიზი მათ შორის, ცხადია, პირად ურთიერთობათა დასაწყისია, როცა ქვეყანაზე არავინ იცის რა იქნება მომავალში – ქალი და კაცი წყვილს შექმნიან, ერთმანეთს უკან მოუხედავად დაშორდებიან, თუ, უბრალოდ, ერთმანეთის კარგ ნაცნობებად დარჩებიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქალის მოხიბლვის მსურველ მამაკაცებს მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგები, ურთიერთობის გარკვეულ მონაკვეთებში მათ მოქცევის ტაქტიკას ურჩევენ, შემდგომ კი მიღწეულ შედეგს უშიფრავენ, უხსნიან.

თითები

ყველა თითის ბოლოზე ასი ათასზე მეტი სენსორული რეცეპტორია განთავსებული. ამიტომ ქალის თუნდაც ნეკა თითზე ხელის მსუბუქ, ნელ გადასმას მეტად „სერიოზული“ შედეგი შეიძლება მოჰყვეს. მისი რეაქციით კი თქვენ მიხვდებით, თუ რას გიქადით მომავალი, თუნდაც ის საღამო.

ახსნა. თუ ქალს მაინცდამაინც მიმზიდველად არ ეჩვენებით, ის მაშინვე ხელს მოგაშორებთ. მაგრამ თუკი პასუხად თითებით „გაგეთამაშათ“, ეს გულის გასახარ ქათინაურად შეგიძლიათ მიიღოთ.

მაჯა

ტაქტიკა. „სხეულის ენის“ ამერიკელი სპეციალისტი რობერტ ფიპსი აცხადებს, რომ ქალი მამაკაცს მაჯას მხოლოდ იმ შემთხვევაში აჩვენებს, თუ იგი მას როგორც პოტენციური პარტნიორი აინტერესებს. თუ ეს მართლა ასეა, საუბრისას მისკენ დაიხარეთ და, თითქოს შემთხვევით, მაჯაზე შეეხეთ.

ახსნა. თქვენ შეხებას ვიზუალური კონტაქტი მოჰყვა? ძალიან კარგი. მაგრამ თუ ქალი თქვენით დაინტერესებული არ არის, იგი თითებს მუშტად შეკრავს და ხელს ისე დადებს.

კისერი

ტაქტიკა. ხომ გახსოვთ კინოფილმებში პულსს რომ უსინჯავენ კისერზე ხელის მიდებით? ჰოდა, სწორედ ეს ადგილია უალრესად ეროგენული ზონა. ფსიქოლოგი ბეკი შპელმანი ასეთ რჩევას იძლევა: „საჯარო ადგილას ყოფნისას ასეთი ტექნიკა გამოდგება: ქალიშვილს ყურში რაღაცას უჩურჩულებთ და, ამავდროულად, კისრის მარცხენა მხარეს თითებით მსუბუქად, მორიდებულად, თუმცა კი ქმედითად ეხებით“.

ახსნა. „თუკი ქალიშვილი ატოკდა, თმის გასწორება დაიწყო – მაშასადამე, ყველაფერი სწორად გაგიკეთებიათ, – განაგრძობს შპელმანი. – მაგრამ, თუ მას ეს შეხება არ მოეწონა, მაშინ იგი უკან დაიხევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენც ნაბიჯი უკან უნდა გადადგა“.

მხრები

ტაქტიკა. კიდევ სცადეთ ქალიშვილის ქვეცნობიერებას მიწვდეთ. ხელს მხარზე თუ დაადებთ – ეს მხარდაჭერის ნიშანია, ქალი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ შეუძლია გენდოთ, თქვენი იმედი ჰქონდეს. თუ რიგში დგახართ, ეს სავსებით ხელსაყრელი ვითარებაა.

ახსნა. ამ შემთხვევაშიც ყველაფერი მარტივადაა: თუკი ქალს მხარზე ხელს დაადებთ, ის კი მოგეკრობათ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა, ხოლო, თუ ხელი ჩამოგაწევინათ, ანდა გაშშდა – ნუღარ გააგრძელებთ.

ზურგი

ტაქტიკა: თუკი ქალის ზურგს სწორად შეეხებით, იგი ლიდერად აღგიქვამთ, რა თვისებაც მამაკაცებში ქალებს განსაკუთრებით მოსწონთ, – ამბობს ფსიქოლოგი ბეკი შპელმანი. – მაგალითად, როცა ხალხმრავალ ადგილას გადიხართ, სცადეთ და ორიოდე წამით ხელი წელზე დაადეთ.

ახსნა. ქალმა ამ ჟესტს შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ ეს ნუ დაგაფრთხობთ: მაშასადამე, იგი თავს ჩვეულებრივად, კომფორტულად გრძნობს. მაგრამ, თუკი თეძოები აათამაშა – მფარველობიდან თავის დასაღწევად – მაშინ ამას უნდა შეეგუოთ: იგი ამისთვის ჯერ მზად არ არის.

წინამხარი

ტაქტიკა. პირადი სივრცის სერიოზული დარღვევის გარეშე ქალთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად, წინამხარი ადვილად ხელმისაწვდომი ადგილია. ვთქვათ, ლაპარაკში ქალს „აი, იმ კაცს“, ანდა „აი იმ ხეს“ რომ აჩვენებთ, მისი მზერისთვის სწორი მიმართულების მისაცემად წინამხარზე შეეხეთ.

ახსნა. „მან შეიძლება საერთოდ არ მიაქციოს ყურადღება ამ შეხებას, – ამბობს რობერტ ფიპსი, – მაგრამ მისი ქვეცნობიერება თავის საქმეს მაინც იზამს. ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ქალიშვილები 25 პროცენტით უფრო ხალისით ურთიერთობენ მათთან, ვინც სწორედ ასე ეხებათ“.

მკერდი

ტაქტიკა. ქალის მკერდს ნურასოდეს ეძგერებით, ეცადეთ, მას ზურგიდან მიუახლოვდეთ, ხელი მეგობრულად მოხვიოთ ისე, რომ ხელისგულები მის მკერდს მხოლოდ გვერდებიდან ეხებოდნენ. ოღონდ ამის გაკეთებას პირველსავე ჰაემანზე ნუ ეცდებით, ჯობს თუნდაც მესამემდე მოითმინოთ.

ახსნა. თუკი ამ მოქმედების შემდეგ ქალიშვილი დაიძაბა და გაშშდა, უაზრო მოხვევას დროზე მორჩით. მაგრამ თუკი მან მკლავზე ხელი გადაგისვათ და არ აღშფოთდა, ეს კარგი ნიშანია.

თეძოები

ტაქტიკა. მუხლს ზემოთ თეძოზე ხელის შეხებას დამშვიდების, გამხნევების ჟესტს უწოდებენ, – ამბობს რობერტ ფიპსი. – ის სავსებით მართებულია მაშინ, როცა იცი, რომ მას რაღაც უსიამოვნება შეემთხვა, რაღაცით შეშფოთებულია. მთავარია თეძოზე ხელი კი არ წაავლოთ, არამედ წამიერად, ოდნავ შეეხოთ.

ახსნა. იდეალურია, თუკი მან ხელზე ხელი დაგადოთ. მაგრამ, თუ ასე არ მოხდა, არსებობს სხვა, გაცილებით უკეთესი ვარიანტი: ერთ-ორ წუთში იგი თავად დაგადებს ხელს თეძოზე, სარკისებრი ჟესტები კი, მით უმეტეს ასეთი ინტიმური, როგორც ფსიქიატრიაშია ცნობილი, ინტერესის გამოხატვისა და სიმპათიის ნიშანია.

◎ ფარიკაობა

კახიანის პირველი ამერიკული

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მოხმალავე თეოდორა კახიანი ორი წლის წინათ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი პენსილვანიის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სწავლასთან ერთად უესლიანის ხელმძღვანელობით ფარიკაობაშიც ოსტატდება. ამას წინათ ოჰაოში მესამე ადგილი დაიკავა, გასულ უქმეებზე კი Garrett Open-ზე იასპარეზა. შეჯიბრებაში სხვადასხვა შტატის უნივერსიტეტების 47 მოფარიკავე მონაწილეობდა.

თეოდორამ სამ ჯგუფში 13 მეტოქეს სძლია, მერე პლეი ოფის სტარტზე იოჰანა თილს აჯობა — 15:10, მეოთხედფინალში ჯეიმ ნორვილი დაჯაბნა — 15:2, ნახევარფინალში ელისონ ბარის (სამივე — ნოტრ დამის უნივერსიტეტი) დააყრევინა ფარ-ხმალი — 15:10, გადამწყვეტ პაექრობაში კი გილ ლიტინსკის (ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტი) მოუგო იოლად — 15:10 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

მომდევნო შეჯიბრებას თეოდორა კახიანი 7 დეკემბერს გამართავს.

ლაშა დიდია

სურათზე: თეოდორა კახიანს (მარცხნივ) გამარჯვებას ულოცავს თანაგუნდელი კლარის ლუმინე.

◎ ჭიდაობა

თბილისის ჩემპიონები გლდანმა გამოავლინა

2000-2001 წლებში დაბადებული მოჭიდავეები მონაწილეობდნენ გლდანის ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტრში გამართულ დედაქალაქის პირველობაში, რომელიც თბილისის ჭიდაობის ფედერაციისა და მერიის სპორტის სამსახურის ინიციატივით გაიმართა ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობებში. პირველობისთვის (მთავარი მსაჯი **თამაზ ბენდიანიშვილი**) პაექრობაში 300-მდე ნორჩი ფალავანი ჩაება. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

თავისუფალ ჭიდაობაში — დავით ქობულაშვილი, იგორ აფციაური, გიორგი გოგიჩაიშვილი, ნუგზარ ბერიძე, გიორგი აფხაზავა, თორნიკე იობაძე, ვლადიმერ კაკოშვილი, ნიკა მათიაშვილი, დავით ირემაძე, ოთარ ესართია, როლანდ მინაშვილი, დავით ქოჩქიანი.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში — გიორგი ბითაძე, ანრი გიორგაძე, საბა კიკაძე, ბექა ზაქაიძე, ნიკა ნოზაძე, ნოდარ ოქრომჭედლიშვილი, ნიკა შჩერბაკოვი, მალხაზ გელაძე, გიგი ჩოხელი, მიხეილ გაგოშიძე, საბა ბაღდავაძე, ელგუჯა სილაგაძე.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

გოლები კი გააქვთ და...

ტოტი, დროგბა, ტერი... მაინც, რა აერთიანებთ ტყავის ბურთის ამ დიდოსტატებს?

უპირველესად, ასაკი, თუმცა, სიჭარმაგის მიუხედავად, საგოლე ალღო ჯერ არ დაუკარგავთ, რაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეხუთე ტურის შეხვედრებშიც დაადასტურეს.

რადგან შედეგიანობა ვახსენეთ, დღის და, საერთოდ, სეზონის გმირ ლეო მესისაც მივაგოთ სათანადო პატივი, რომელმაც კვიპროსზე ჰეთრიქი შეასრულა და ამიერიდან ტურნირის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია 74 გოლით.

სამშაბათის რაუნდის სრული შედეგები:

„ე“ ჯგუფი. „სიტი“ — „ბაიერნი“ 3:2, ცსკა — „რომა“ 1:1.

„ბაიერნი“ — 12, „სიტი“, „რომა“, ცსკა — 5-5 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „აპოელი“ — „ბარსელონა“ 0:4, „პარი სენ-ჟერმენი“ — „აიაქსი“ 3:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ — 13, „ბარსელონა“ — 12, „აიაქსი“ — 2, „აპოელი“ — 1 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „შალკე“ — „ჩელსი“ 0:5, „სპორტინგი“ — „მარიბორი“ 3:1.

„ჩელსი“ — 11, „სპორტინგი“ — 7, „შალკე“ — 5, „მარიბორი“ — 3 ქულა.

„თ“ ჯგუფი. ბატე — „პორტუ“ 0:3, „შახტარი“ — „ბილბაო“ 0:1.

„პორტუ“ — 13, „შახტარი“ — 8, „ბილბაო“ — 4, ბატე — 3 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ტყვიის სროლა

ქველიაშვილის თასზე აზერბაიჯანელებმაც იასპარეზეს

ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში ტრადიციად იქცა სახელოვანი ქართველი ჩუბინის — შოთა ქველიაშვილის სახელობის თასის ღია გათამაშება. სხვა ბაზის უქონლობაა მიზეზი, რომ ასპარეზობის მონაწილეები მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ამავე პრობლემის გამო ტურნირს უცხოელთაგან მარტო აზერბაიჯანელები სტუმრობენ. არადა, ჩამოსვლის მსურველი მრავლად არიან, სათანადო სარბიელი კი არ გვაქვს. ამ სახეობაში ოლიმპიური ჩემპიონის სამშობლოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტირის უქონლობა, ნამდვილად, სირცხვილია. ამ საკითხზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ჯობია, ისევ შოთა ქველიაშვილის თასის ღია გათამაშებას დავუბრუნდეთ: შეჯიბრებაზე აზერბაიჯანელები 18-კაციანი გუნდით გვეწვივნენ უცვლელი ლიდერის — ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის პრიზიორ ირადა აშუმოვას ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ირადამ და მისმა ვაჟმა — რუსლან ლიუნიოვმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

პაექრობები ახალგაზრდებსა და უფროსებში, ასევე, ქალებსა და ვაჟებში ცალ-ცალკე ჩატარდა. **მანდილოსნებში** ყველას ტირის მასპინძელმა ნინო სალუქვაძემ აჯობა: შესარჩევში იგი 385 ქულით პირველი იყო და ფინალშიც 100.6 ქულით ყველას გაუსწრო — საბოლოოდ 485.6 ქულით გაიმარჯვა. მომდევნო ადგილები აზერბაიჯანელებმა — ირადა აშუმოვამ (469.5) და ზარიფა კაზიმოვამ (467.2) გაინაწილეს.

ვაჟებში 665.6 ქულით პირველობა აზერბაიჯანელ რასულ მამედოვს ერგო. რუსლან ლიუნიოვი თანაგუნდელს 5.3 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილს დასჯერდა. თბილისელ ლევან ქადაგიძეს 655.1 ქულით ბრინჯაოს მედალი ხვდა.

გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლიზი კილაძე (ქუთაისი, 376 ქულა, თუმცა ეს შედეგი საგრძნობლად ჩამორჩება მის საუკეთესო მაჩვენებელს — 384), 2. ნარიფა აბასლი (აზერბაიჯანი, 372), 3. მარინა მაღრაძე (თბილისი, 371). **ბიჭებში** ნინო სალუქვაძის ვაჟმა ცოტნე მაჭავარიანმა იყოჩაღა (570). მეორე-მესამე ადგილებიც დედაქალაქელებმა — ვლადიმერ მაიოროვმა (565) და აკაკი მოსულიშვილმა (562) დაიკავეს.

ლექსო ციცაძე

სურათზე: ნინო სალუქვაძე.

◎ თარილი

იუბილე ტაშკენტშიც აღინიშნა

თბილისის „დინამოს“ მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველად მოგების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვეტერან ქართველ ფეხბურთელთა ნაკრები 21-23 ნოემბერს უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ამხანაგური მატჩის გასამართად იმყოფებოდა.

22 ნოემბერს, 14 საათზე, დილიდანვე დატვირთული პროგრამის შემდეგ, ჩვენი დელეგაცია ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონს ესტუმრა, სარბიელს, სადაც 1964 წლის 18 ნოემბერს „ოქროს ბიჭებმა“ მოსკოვის „ტორპედო“ 4:1 დაამარცხეს.

ვეტერანთა მატჩის დაწყებამდე ვლადიმერ ბარქაიამ და ილია დათუნაშვილმა 50 წლის წინანდელი მატჩის ამბები გაიხსენეს: რა ადგილიდან გაიტანეს გოლები, საიდან ჩაახვია ბურთი პირდაპირ კუთხურიდან ბატონმა ილიამ, როგორი ატმოსფერო სუფევდა სტადიონზე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის მატჩი...

„დაუვიწყარი გამარჯვება იყო! ყველას გვჯეროდა, რომ ჩემპიონობა შეგვეძლო და, საბედნიეროდ, შევძელით კიდეც. ბურთი კი, აი, ამ ადგილიდან ჩავახვიე — მანამდე ჩვენი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი მავარჯიშებდა და როგორც გამოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ. არც კი მჯერა, რომ იმ დღის შემდეგ ასეთი დიდი დრო გავიდა“, — გვითხრა ბატონმა ილიამ კუთხურის იმ ნიშნულთან, საიდანაც 1964 წლის მატჩში პირდაპირ შაპოვალენკოს კარში ჩაახვია ბურთი.

„მინდვრის საფარს ვუყურებ და გული მწყდება — ჩვენ დროს ასეთი კარგი მინდორი რომ ყოფილიყო, გაცილებით მეტს მივაღწევდით... სტადიონი დიდად არ შეცვლილა — თუ ინდივიდუალურ სკამებს არ ჩავთვლით, ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჩვენ დროს იყო... როგორ გინდა დაიჯერო, რომ „ოქროს მატჩიდან“ 50 წელი გავიდა? დღეს, ცხადია, ბედნიერი ვარ, მაგრამ ათჯერ უფრო გამიხარდებოდა, ჩემი თანაგუნდელებიც აქ რომ ყოფილიყვნენ“, — გვითხრა ბატონმა ვლადიმერ ბარქაიამ.

ორივე „ოქროს ბიჭმა“ კიდევ არაერთი ისტორია გაიხსენა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფთან, რომლებიც ტაშკენტში თბილისის „დინამოს“ დიდი გამარჯვების ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებულ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობდნენ.

„ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე! ცხადია, თბილისელებს ვგულშემატკივრობდი, განსაკუთრებით კი ბორის სიჭინავა მიყვარდა, რომელიც მართლა გამორჩეული ფეხბურთელი იყო! თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ „ოქროს მატჩზე“ დასასწრებად ბამბის პლანტაციიდან გამოვიპარე. ხელმძღვანელები ძალიან გამიბრაზდნენ, კინაღამ კომკავშირიდან გამრიცხეს...“ — 50 წლის წინანდელი ამბები 66 წლის ჟურნალისტმა, ქალბატონმა ფახრუტდინ ფლორა გუმარმა გაიხსენა. ის ვლადიმერ ბარაქიას და ილია დათუნაშვილს „ფახთაქორის“ სტადიონზე შეხვდა და სუვენირები უსახსოვრა.

ვეტერანთა მატჩი, რომელიც ორი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ფრედ 4:4 დასრულდა. პირველი ტაიმი დინამოელებმა 3:1 მოიგეს, შესვენების შემდეგ კი „ფახთაქორმა“ იმავე ანგარიშით გაიმარჯვა. ჩვენი ბიჭებიდან 2-2 გოლი გაიტანეს მიხეილ ყაველაშვილმა და გიორგი დემეტრაძემ, მათ გარდა კი საიუბილეო შეხვედრაში ითამაშეს ირაკლი ზოიძემ, სოსო გრიშიკაშვილმა, მამუკა მაჭავარიანმა, ირაკლი ვაშაკიძემ, გიორგი ანჩაბაძემ, გოგა გახოკიძემ, ლევან ცქიტიშვილმა, გოჩა ჯამარეულმა, ზურაბ ყიფიანმა, ალექსანდრე იაშვილმა და რატი ალექსიძემ. თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა კაპიტანი მალხაზ მახარაძე გახლდათ. ჩვენმა ვეტერანებმა კომპანია „სალერის“ სპორტული ფორმით ითამაშეს, რომელსაც კლუბის ძველი ლოგო ამშვენებდა.

„ჩვენი მეგობრების ხელშეწყობით სასიამოვნო დღე გამოგვივიდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ „ოქროს ბიჭების“ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს არაერთი ღონისძიება მიუძღვნა, ტაშკენტში ვეტერანების მატჩის გამართვა კი აქაური მეგობრების და უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დახმარებით მოხერხდა. მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა, მათ შორის, ქართული ფეხბურთის ვეტერანებს, რომლებმაც დღეს ითამაშეს. ასევე, მსურს, მადლიერება გამოვხატო ელჩისადმი, — ბატონმა კონსტანტინე ჟღენტმა ფასდაუდებელი სამუშაო გასწია! მიხარია, რომ ჩვენს „ოქროს ბიჭებს“ დაუვიწყარი დღეები ვაჩუქეთ“! — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ვეტერანთა მატჩის დასრულების შემდეგ.

დღის მიწურულს ტაშკენტის „ფახთაქორის“ ხელმძღვანელებმა საქართველოდან ჩასულ სტუმრებს სასტუმრო „უზბეკისტანში“ საზეიმო ვახშამზე უმასპინძლეს, სადაც უზბეკეთის ოლიმპიური კომიტეტის და ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ლაშა გოდუაძე

◎ საზეიმო სხდომა

მესამე ათწლეულის დასაწყისში

1994 წელს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციამ და მისმა პრეზიდენტმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვრმა დემურ ბაშელეიშვილმა დააარსეს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ახლახან არსებობის 20 წლისთავი აღნიშნა. აკადემიის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საიუბილეო სხდომა მიეძღვნა.

აკადემიის პრეზიდენტმა დამსწრე საზოგადოებას ორი ათეული წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის უაღრესად შთამბეჭდავი შედეგები გააცნო. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში აკადემიაში გაიმართა 494 სხდომა და 403 სამეცნიერო კონფერენცია, მოეწყო 80 ექსპრეს-გამოფენა, სხვა ორგანიზაციებთან ერთად გაიმართა 41 სამეცნიერო კონფერენცია, კონგრესი და სიმპოზიუმი, მოეწყო მხატვართა ნამუშევრების 38 გამოფენა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, აკადემიის წევრები მონაწილეობდნენ 32 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, კონგრესისა და ბიენალეს მუშაობაში, გამოიცა აკადემიის წევრთა 39 წიგნი და 8 შემოქმედებითი ალბომი, გამოქვეყნდა 88 სამეცნიერო ნაშრომები, საქართველოსა და უცხოეთში დაიდგა 14 ქანდაკება, 20 ათასზე მეტი ქართული წიგნი საჩუქრად გადაეცა საქართველოსა და მის გარეთ (კერძოდ, რუსეთსა და აზერბაიჯანში) არსებული ქართული სკოლების ბიბლიოთეკებს, ხოლო თბილისსა და საქართველოს მხარეებში უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა სამი ათასამდე ბავშვს...

დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ნუსხაა! აკადემიის დაარსებიდან ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოსულმა მისმა წევრებმა და დამსწრე სტუმრებმაც სწორედ შემოქმედებითი მუშაობის ინტენსივობასა და მრავალფეროვნებაზე ილაპარაკეს და, უკლებლივ ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღწეული შედეგი, თავად აკადემიის სიცოცხლისუნარიანობა, უწინარესად, მისი სულის ჩამდგმელისა და დამაარსებლის, მუდამ ენერგიით აღსავსე, უცვლელი პრეზიდენტის დემურ ბაშელეიშვილის უდიდესი დამსახურებაა.

საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიას დღესდღეობით 22 ნამდვილი წევრი, ორი წევრ-კორესპონდენტი, სამი საპატიო წევრი და, როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში 13 საპატიო დოქტორი ჰყავს.

ოთარ ტურაბელიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტის, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობრისა და ავტორის მორის ფოცხიშვილის მეუღლე, დამსახურებული მედიკოსი, არაერთი თაობის აღმზრდელი

როზიტა ვერბი-ფოცხიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ქალიშვილებს თამარსა და ბასას.

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;
568 82-09-84.

◎ მე ასე მჯერა!

საუბედუროდ, ამჯერად გმირი დასაჯეს!

ჯერ კიდევ 1994 წელს მქონდა ბედნიერება, ვწვეოდი დალის ხეობას და ახლოს გავეცანი მის გმირ დამცველებს, ამიტომ ღრმად მწამს: ვინც „მონადირე“ განაიარაღა, მისი სარდალი მტრად გამოაცხადა, ხოლო მისი და — სოხუმიდან ლტოლვილი და სრულიად უდანაშაულო ქალბატონი ნორა კვიციანი დიდი ხნით გამოამწყვდია ციხეში, შებრალების ღირსი არ არის. მით უფრო, რომ დალის ხეობის მტრისთვის მუხანათურად ჩაბარებამ დაგვაკარგვინა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უმნიშვნელოვანესი ბასტიონი, რომელიც ქვეყანას იცავდა ქლუხორის უღელტეხილიდან მოსალოდნელ საშიშროებათაგან.

მე უკვე 80-ს გადავაბიჯე და მართებული არ იქნება, რომ ემზარ კვიციანის წინააღმდეგ გამოტანილი უსამართლო მსჯავრი შიმშილობით გავაპროტესტო, მაგრამ იმას ვერავინ დამიშლის, რომ გრაალის ჭეშმარიტი მცველისა და მისი ნაწამები დის — ნორა კვიციანის მიმართ ჩემი აღტაცება საქვეყნოდ გამოვთქვა და დაფნის გვირგვინებით მათი დადაფვნა მოვითხოვო.

ავტორი

როგორ ვირწმუნო, ხალხო, აბა, მე,
ვინმეს სინდისის ნერვი აჭქავდეს,
როცა ამირანს ისევ აბამენ
ქედზე, რომელ ზეც ება აქამდე?

ვერ შევეგუე დღემდე ვერა, ვერ,
ნაცები კვლავაც რომ უბერავენ,
რადგან ჭრიან და ისე კერავენ,
როგორც ჭრიდნენ და როგორც კერავდნენ.

მათ შეუბღალეს ქალღმერთს სახელი,
დღეს მსჯავრიც მათი მოსამართია,
რადგანაც ზოგი ავის მზრახველი
ბრალმდებელი და მოსამართლეა.

უდღეურობის დგას უდღეობა, —
და მათ განაჩენს, მოდი, ჩავსდიოთ:
„12 წელს გისჯით, დალის ხეობას
12 წელიწადს რომ იცავდიო!“

დროა, ვიყვიროთ და დავიგრგვინოთ,
მსჯავრს ვინც გვიცხადებს, ვისი კვიცია,
რომ დავუდაფნოთ დაფნის გვირგვინი
გრაალის გმირ მცველს — ემზარ კვიციანს!

ალექსანდრე შენგელია

განცხადება

2015 წლის 20 იანვარს, 14 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127), გაიმართება შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიული საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. აღთაკლიას მიმდებარე ტერიტორიაზე მეტალურგიულ საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127;**
- **შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ ოფისში - ქ. რუსთავი, მერაბ კოსტავას №23;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ბ. ტელ: 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ ადმინისტრაცია

◎ თვალსაზრისი

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ!

თანამედროვე ომების ისტორიაში სულ უფრო იშვიათია შემთხვევითობის ფაქტორი. საომარი ხელოვნება, რომელსაც სტრატეგიის მეცნიერება სწავლობს, უფრო და უფრო შესწავლადი ხდება: დადებით ძალთა ბალანსის შემთხვევაში, ბრძოლის ველზე გამარჯვების მოპოვება თითქმის წინასწარ უზრუველყოფილია (ეს არ ეხება ატიპიურ ომებს, რომლებიც სუსტ მხარეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს და რომლის წარმოება სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაზეა დამოკიდებული).

XX საუკუნის სამხედრო ისტორიაში მაინც მოიპოვება ერთი ომი, როცა გაცილებით პატარა და ეკონომიკურად „ჩამორჩენილმა“ სახელმწიფომ დაამარცხა მასზე რამდენჯერმე დიდი და „განვითარებული“ იმპერია, თანაც პირდაპირ ბრძოლის ველზე. ეს 1940-41 წლების მიჯნაზე მოხდა. მსოფლიო სენსაცია იყო პატარა „განუვითარებელი“ საბერძნეთის მიერ იტალიის დამარცხება. შემდეგ კი ინგლისელების ინტრიგების შედეგად (მათ, სავარაუდოდ, მოწამლეს საბერძნეთის პრემიერი მეტაქსასი და სათავეში საკუთარი მარიონეტები მოიყვანეს), საბერძნეთი II მსოფლიო ომში ჩაერთო. თუმცა, ეს სხვა ისტორიაა.

რამ განაპირობა ბერძენთა წარმატება? ყოველთვის ასეთი წარმატებული იყო XX საუკუნის ბერძნული მხედრობა? რა თქმა უნდა — არა. ისინი ჯერ კიდევ 1897 წელს სასტიკად დამარცხდნენ ოსმალეთთან ბრძოლაში. 1912-1913 წლებში და პირველ მსოფლიო ომში მათ, მართალია, წარმატება მოიპოვეს, მაგრამ ჰელინნი ამ შემთხვევაში კოალიციის შემადგენლობაში გამოდიოდნენ და დიდწილად მოკავშირეებზე იყვნენ დამოკიდებულნი, ხოლო 1919-22 წლების საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს სრული კატასტროფა განიცადეს. მაგრამ რეაქციაც შესაბამისი იყო — მეფე გადადგა ტახტიდან. 5 უმაღლესი ხელისუფალი და ანატოლიის ჯარების სარდალი კი დახვრიტეს. სიკვდილს ძლივს გადაურჩა მეფის ძმა, ბრიტანეთის დედოფლის ელიზასაბედ II-ის მამამთილი ენდრიუ. ახლა ადვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა „მოტივაცია“ ექნებოდათ ბერძენ სამხედრო თუ სახელმწიფო ხელმძღვანელებს იტალიის წინააღმდეგ ბრძოლისას, როცა ასეთი მაგალითი ედოთ წინ.

აი ჩვენ, რა გავაკეთეთ და რას ვაკეთებთ წაგებული ომების შემდეგ? გინახავთ ვინმე არათუ გასამართლებული, თანამდებობიდან გადაყენებული მაინც? დახვრეტას არც მე ვითხოვ, მაგრამ სახელმწიფომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს განცდილი კატასტროფების მიზეზები და პირობითად მაინც უნდა დასაჯოს ის თანამდებობის პირები, ვისი გამოისობითაც შემცირდა ჩვენი სასიცოცხლო სივრცე.

ამის მაგივრად, ომებში სასტიკად დამარცხებული სახელმწიფო თავის ერთადერთ დაუმარცხებელ მეთაურს ასამართლებს და 12 წლით თავისუფლებას უღკვეთავს რაღაც საეჭვო (ჩემი ღრმა რწმენით, აბსოლუტურად შეთითხნილი) ბრალდების გამო. ეს კი ძალიან სიღრმისეული, იდეოლოგიური კრიზისის მანიშნებელია.

პირველად ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს საქმე იმითაცაა უნიკალური, რომ ამ საზიზღრობაში ერთდროულად ორი მთავრობა მონაწილეობდა და ეს ნათლად გამოჩნდა (განსხვავებით ესებუას ხალხის საქმისგან, როცა სააკაშვილმა შერიგების აქტის მიუხედავად, ისინი ციხიდანარ არ გამოუშვა). ამიტომ, აქ არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი სახელმწიფო სისტემის უნიათობა გამოსჭვივის. რა „მოტივაციას“ უჩენს ჩვენი რესპუბლიკა თავის ოფიცრებს? ის, ვინც პატიოსნად იბრძოლებს და დაღუპვას გადაურჩება, იქნება დასჯილი (კვიციანი), თუ დაიღუპება — დავიწყებული (კოპალიანი და მისი მებრძოლები), ხოლო, ვინც თავის მოძმეების სისხლში განიბანება — დაწინაურებული (ლეგიონია მათი სახელი), ბრძოლის ველიდან გაქცეული — დაჯილდოებული, ტყვედ ჩაბარებულებს, თუკი ისინი შემთხვევით დახვრიტეს — მუდმივი დიდება და შარავანდედი. ასე სახელმწიფო დიდხანს ვერ გაძლებს და არცაა არსებობის ღირსი!

მონღოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დასუსტების ნათელ მაგალითად სარგის ჯაყელის მიმართ გამოჩენილი უმადურობაც შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგრამ აქ საქმე გაცილებით რთულ მოვლენასთან გვაქვს. იქ მაინც სარგისიც დამარცხდა და გაჰყვა მეფეს დასავლეთში. აქ სახეზე გვაქვს სახელმწიფოებრივი სიქველის სრული გადატრიალება. ბატონ ემზარს აფრიკელი ბელადივით, ან აზიელი კომუნისტივით, იქ ხალხის ჭამაც რომ დაეწყო, სანამ ქართულ დროშას აფრიალებდა და სახელმწიფო აფხაზეთში, თუნდაც უმნიშვნელო, წარმატებას არ მიაღწევდა, მანამ მისი გასამართლება ყოვლად დაუშვებელი იყო, რამეთუ, „როცა იარაღი ულარუნობს, კანონები დუმან“ (ციცერონი).

ორიოდე სიტყვა ჩვენს კანონებზეც. დავიწყოთ თავიდან. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო შეზღუდული სუვერენიტეტის სახელმწიფოა (მუხლი 7) და მიუხედავად დემოკრატიულობის აღიარებისა, სახალხო მმართველობაზე 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობის შემთხვევაში, ლაპარაკი ზედმეტია. რეალურად სახეზე გვაქვს პარტიული ნომენკლატურის დიქტატურა. სხვა ქვემდებარე საკანონმდებლო აქტები ისეა მიღებული, რომ შეუძლებელია მათი დაურღვევლობა. მე ვაღიარებ, რომ სისტემატურად ვარღვევ ჩვენს კანონმდებლობას. კერძოდ, ვზრდი შვილებს და მათთან ყოველი აღმზრდელობითი ურთიერთობისას ვძალადობ მათზე ფსიქოლოგიურად მაინც, ანუ ვაიძულებ იმის კეთებას, რაც მათ არ სურთ, ხანდახან ფიზიკური ძალითაც კი. მოდით და გამასამართლეთ. ხოლო ასეთი კანონებით, ხევისთავ კვიციანისთვის კი იმდენი დანაშაულის პოვნა შეიძლება, მონდომების შემთხვევაში, რამდენი ღერი თმაც არ ექნება თავზე.

მარცხი მომხდარია. ახლა, დღესვე რომ გამოუშვან ბატონი ემზარი, ყოველივე ზემოთ თქმული ისევ ძალაში რჩება. ისმის კითხვა: ჩვენ, ქართველმა ერმა როგორ უნდა ვიმოქმედოთ აღნიშნულ ვითარებაში? ერთი ნათელია: ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დამრთავდეს ნომენკლატურის დიქტატურა! უნდა აღვიჭურვოთ მოთმინებით და ჩვენი ბრძენი მწყემსმთავრის ხელმძღვანელობით უნდა აღვადგინოთ იმპერიის ძალმომრეობით გაუქმებული სამეფო საყდარი, ანუ, საჭიროა შეიქმნას ახალი, უკვე არა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობა და შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ჭკუას არავის დაეკითხება და ეროვნული ინტერესების შესაბამისად მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს.

PS. VAE VICTUS! მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი!

ჯაბა მამულაიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

საქმე დოზაა



60-ზე მეტი წლის ასაკის ადამიანებს, რომლებიც ალკოჰოლის მცირე დოზას მოიხმარენ, უკეთესად აქვთ განვითარებული ეპიზოდური მეხსიერება, აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

გამოკვლევამ 660 ხანდაზმულ მოხალისეზე, და ცხოველებზე აჩვენა, რომ ალკოჰოლი მცირე დოზით ხელს უწყობს შენარჩუნებას არსებული ჰიპოკამპისა – ესაა თავის ტვინის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის გადასვლაზე ხანმოკლე მეხსიერებიდან ხანგრძლივზე – მასში ნერვული უჯრედების დაყოფის სტიმულირების წყალობით. ამას გარდა, ალკოჰოლის ზომიერი დოზა ზრდის იმ ნეირომედიატორების გამოთავისუფლებას, რომლებიც ინფორმაციის დამუშავების პროცესში მონაწილეობენ.

ამასთან ერთად, სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ, მართალია, ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება სასარგებლოა მეხსიერებისთვის, ალკოჰოლის ხანგრძლივი პერიოდით ბოროტად გამოყენება ცუდად მოქმედებს ტვინზე.

ბებიის მეთვალყურეობის დროს

ბებიისა და ბაბუის მზრუნველობა 34 პროცენტით ზრდის ბავშვების სიმსუქნის რისკს, აჩვენა ბრიტანელი მეცნიერების გამოკვლევებმა. იმათ კი, ვინც საბავშვო ბაღში დადის ან რჩება ძიძასთან, წონა საშუალოდ არ აქვთ იმათზე მეტი, რომლებიც მშობლებთან ატარებენ დროს. თანაც, რაც უფრო ბედნიერია ოჯახი, მით მეტია იმ ბავშვების გასუქების რისკი, რომლებიც მთელი დღით რჩებიან უფროსი ნათესავების მეთვალყურეობის ქვეშ. მეცნიერები ვარაუდობენ, ბებია-ბაბუები უფრო ხშირად აჭმევენ ბავშვებს ცხიმიან საჭმელებს და ნაკლებად მოძრაობენ მათთან ერთად.

სიწყნარე – როგორც წამალი ტკივილის წინააღმდეგ

ჯაზის მელოდიები ანელებენ ავადმყოფების გულის რიტმს ოპერაციის შემდეგ, სიწყნარე კი ამცირებს ტკივილის შეგრძნებას, გამოარკვიეს ამერიკელმა ანესთეზიოლოგებმა. გამოკვლევაში მონაწილეობა იმ 56 პაციენტმა ქალმა მიიღო, რომლებმაც საშვილოსნოს ოპერაცია გადაიტანეს. მათი ნაწილი ოპერაციის შემდეგ უსმენდა ჯაზმუსიკას, ნაწილი – იწვა ყურსაფრებით, რომლებიც გარესამყაროს ხმების სრულ იზოლირებას ახდენდნენ. პაციენტების გულისცემის სიხშირე, არტერიული წნევის დონე, ტკივილის შეგრძნება და განგაში შეაფასეს უმალვე ოპერაციის შემდეგ და 10 წუთის ინტერვალით პირველ ნახევარ საათში.

აღმოჩნდა, რომ ოპერაციიდან 20 წუთის შემდეგ მუსიკის მსმენელთა ჯგუფში გულისცემის სიხშირე იყო უფრო იშვიათი, ვიდრე იმათი, ვინც სიწყნარით ტკბებოდა. მაგრამ სიწყნარეში მწოლიარენი განიცდიდნენ ნაკლებ ტკივილს 10 წუთის შემდეგ ოპერაციის დამთავრებიდან „ჯაზის“ ჯგუფთან შედარებით.

ოპერაცია წყაროა არა მხოლოდ ტკივილისა, არამედ ემოციური სტრესისაც, ხოლო ჩარევის შემდეგ გამოყენებულ ანალგეტიკებს აქვთ ბევრი თანმდევი ეფექტი, ასე რომ მუსიკის მოსმენა ან სიწყნარე ოპერაციის შემდგომ პერიოდში შეიძლება გახდეს მარტივი და ხელმისაწვდომი ხერხი – დავამშვიდოთ და მოვადუნოთ პაციენტები, მიაჩნიათ კვლევის ავტორებს.

ინფორმაციას კომენტარს უკეთებს ექიმი-ანესთეზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ანდრო ლეკიშვილი:

– ანესთეზიოლოგიაში არის ასეთი წესი: ნარკოზიდან გამოსვლა უნდა იყოს მშვიდი. ამისთვის დღეს ოპერაციის წინ ავადმყოფში შეჰყავთ პრეპარატები, რომლებიც თავიანთ მოქმედებას იწყებენ საერთო ანესთეზიის დამთავრების შემდეგ, – მეთოდს ასეც ეწოდება – „ანალგეზიის თავიდან აცილება“. იგი გამოიყენება დიდებშიც და პატარებშიც.

ამერიკელების მიერ „მუსიკოთერაპიის“ ან ხმის იზოლაციის მეთოდის გამოყენება ატარებს, როგორც ჩანს, წმინდა კვლევით ხასიათს, ვინაიდან თანამედროვე ფარმაკოლოგიური პრეპარატების დახმარებით შეიძლება

უფრო მარტივად უზრუნველვყოთ დიდის, ან ბავშვის კომფორტი ადრეულ ნაკოზისშემდგომ პერიოდში.

თანაც, ყველას როდი მოსწონს ჯაზი. თუმცა, ცნობილია, რომ ზოგიერთ საავადმყოფოში და სამშობიარო სახლში ახალშობილთათვის კომფორტის შესაქმნელად წარმატებით იყენებენ მუსიკოთერაპიას, რის შედეგადაც ბავშვები არა მხოლოდ მშვიდდებიან, არამედ უკეთესადაც ჭამენ.

„ბოევიკები“ – ხელს უწყობენ ზედმეტ წონას

დიეტოლოგებმა გამოარკვიეს, რომ ისინი, ვინც უყურებენ დინამიკურ ბოევიკს, ორჯერ მეტ საკვებს ღებულობენ, ვინც მელოდრამებს უყურებს. მათ, ვინც აპირებს ძილის წინ უყუროს საინტერესო სიუჟეტიან ფილმს, სპეციალისტები ურჩევენ მოიმზადონ მცირეკალორიული საკვები– ხილი, ბოსტნეული და ა.შ.



ოქროს სამკაულმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს

ოქრო ჰიპოალერგენულ ლითონად ითვლება, მაგრამ სამკაულებს სუფთა ოქროსგან ამზადებდნენ მხოლოდ ძველად. თანამედროვე იუველირები იყენებენ შენადნობებს, რომლებშიც ოქროს უმატებენ სხვა ლითონებს, ყველაზე ხშირად სპილენძს – ლითონის მთავარ ალერგენს. ლითონზე ალერგიის სიმპტომებია – ქავილი და სიწითლე.

შემოსაკრავი-მკვლელი

მეცნიერებმა სლოვენიიდან და რუსეთიდან გამოიგონეს კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ქიმიოთერაპიის დოზა 30-ჯერ შევამციროთ. მათ დაამუშავეს ადრეშემახორცებელი შემოსაკრავები, რომლებიც ელექტროსტატისტიკური ფაქტორის წყალობით თავიდან გვაცილებენ მიკროორგანიზმებს ჭრილობიდან. ბაქტერიები რჩებიან შემოსაკრავზე და არ შეუძლიათ გამრავლება, შედეგად ჭრილობები ხორცდება უფრო სწრაფად. განსაკუთრებული მასალა ართულებს სიმსივნის უჯრედების ცვლას არაუჯრედოვან გარემოსთან, ესე იგი ტოვებს მას საკვების გარეშე. შედეგად სიმსივნის ზრდა ჩერდება.

განაცხადი საერთაშორისო პატენტზე უკვე შეტანილია. დამმუშავებლები ვარაუდობენ, რომ კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი ხელმისაწვდომი გახდება პაციენტებისთვის მაქსიმუმ ორი წლის შემდეგ.

გვიანდელი მშობიაობა აახალგაზრდავებს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს

ფეხმძიმობის დროს პროგესტერონის ჰორმონის გაძლიერებული გამომუშავების გამო უმჯობესდება კუნთების ტონუსი, მაგრდება ძვლის ქსოვილი, მცირდება ჰიპერტონიის განვითარების რისკი. ამ დროს ასევე დამატებით სტიმულაციას ღებულობს თავის ტვინი, ეს კი ხელს უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

◎ კადრი



პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **ძვირფასო**, ეს ღვინო საერთოდ თავბრუდამხვევს გხდის! – ეუბნება კაცი ქალს.
– მაგრამ მე ღვინო არ დამილევია!
– ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ხომ დავლიე.

* * *

– **როგორ** შეიძლება მწყრის უკეთ მომზადება?
– რამდენი გყავს?
– ერთი.
– კატას მიეცი და იგი მიხედავს...

* * *

შედის ტიპი საიუველირო მაღაზიაში, რომლის გამყიდველი სიმპათიური გოგოა.

– **უყიდეთ** საჩუქარი თქვენს საყვარელ ქალს. მას ეს ბეჭედი უთუოდ მოეწონება.
– არა მყავს საყვარელი ქალი.
– როგორ, ასეთ სიმპათიურ მამაკაცს საყვარელი არა გყავთ? – კეკლუცობს გოგო.
– ცოლი არ მრთავს ნებას...

* * *

– **აბა**, შევამოწმოთ, რამდენი ენა იცით! – ეუბნება სამუშაოზე მოწყობის მოსურნე მიხოს, – ინგლისური იცით?
– სრულებით.
– გერმანული?
– სრულებით.
– ?! სრულებით, ანუ სრულყოფილად?
– არა, სრულებით არ ვიცი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24